

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ფაიგ მუსტაფაევი



ვალდებულების შესრულების გართულება უნიფიცირებული და ქართული სამართლის მიხედვით

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია ჩიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სამართლის დოქტორი

თბილისი

2019 წელი

სარჩევი	
აბრევიატურა	III
შესავალი.....	1
1. შესრულების გართულების კონცეფციის ისტორიული განვითარება	3
1.1. შესრულების გართულების კონცეფცია რომის სამართალში (Rebus Sic Stantibus)	3
1.2. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარების ეტაპები მე-20 საუკუნის ბოლომდე	4
1.2.1. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარება ფრანგულ სამართალში	4
1.2.2. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარება გერმანულ სამართალში	5
1.2.3. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარება საერთო სასამართლოების ქვეყნებში.....	6
შუალედური დასკვნა.....	7
1.3 შესრულების გართულების კონცეფციის თანამედროვე მნიშვნელობა.....	8
2. შესრულების შეუძლებლობისა (ფორს-მაჟორი) და შესრულების გართულების ურთიერთგამიჯვნა	9
2.1 არსობრივი მახასიათებლების მიხედვით	10
2.2. თანმდევნი სამართლებრივი შედეგების მიხედვით	12
შუალედური დასკვნა.....	13
3. შესრულების გართულების დათქმის კონსტრუირება (შედგენა) ხელშეკრულებაში	14
3.1. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის მნიშვნელობა სახელშეკრულებო ინტერესთა რეალიზების კონტექსტში	14
3.2 „რბილი სამართლით“ განსაზღვრული შესრულების გართულების შესახებ ნორმების ინკორპორირება ხელშეკრულებაში.....	16
შუალედური დასკვნა.....	18
4. შესრულების გართულების მოდელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის მიხედვით.....	18
4.1. 79-ე მუხლის შინაარსი და გამოყენების სფერო	19
4.1.1 შესრულების დაბრკოლება.....	20
4.1.2 დაბრკოლების არსებობა მხარის კონტროლს მიღმა	23
4.1.3 დაბრკოლების წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა	24
4.1.4 დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილების შეუძლებლობა.....	26

4.2 შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგები ვენის კონვენციის შესაბამისად	27
5. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებული შესრულების გართულების მოდელი	28
5.1. შესრულების გართულების „ნორმატიული“ განმარტება (6.2.1) მუხლის თანახმად	29
5.2. სამართლებრივი წინაპირობები ვენის კონვენციასთან შედარების ჭრილში	30
5.2.1 ვენის კონვენციასთან მსგავსი წინაპირობები	30
5.2.2 ვენის კონვენციისგან განსხვავებული წინაპირობები	31
5.3 სამართლებრივი შედეგები	33
5.3.1 ხელშეკრულების შეწყვეტა.....	35
5.3.2. ხელშეკრულების მისადაგება (ადაპტაცია).....	36
5.3.3 უნიდრუას პრინციპების გამოყენება ვენის კონვენციის ხარვეზის შემსებ მექანიზმად სამართლებრივი შედეგების მოწესრიგების ნაწილში	37
6. შესრულების გართულების კონცეფცია ქართულ სამართალში.....	39
6.1 შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული შესრულების გართულება როგორც ხელშეკრულების ადაპტაციის წინაპირობა	40
6.1.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი	41
6.1.2 აშკარა ცვლილება.....	42
6.1.3 ცვლილების წარმოშობა ხელშეკრულების დადების შემდგომ	43
6.1.4 გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა	44
6.1.5 გარემოების არსებობა მხარის კონტროლს მიღმა.....	45
6.1.6 მიზეზობრივი კავშირი	45
6.2 ხელშეკრულების მისადაგების პრიმატე ხელშეკრულების შეწყვეტასთან მიმართებით.....	46
6.3 ვალდებულების შესრულების გართულების უნიფიცირებული და ქართული მოდელის ეფექტიანობის ანალიზი	48
დასკვნა.....	51
ბიბლიოგრაფია.....	I

აბრევიატურა

ქართულს ენაზე

გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
გვ.	გვერდი/გვერდები
ვენის კონვენცია	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, ქ. ვენა, 1980 წ
იხ.	იხილე
მაგ.	მაგალითად
პარა	პარაგრაფი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები	უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები
ევროპული პრინციპები	ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები

უცხოურ ენაზე

Am.	American
Arb.	Arbitration
Art.	Article
BGB	Bürgerlichen Gesetzbuches
Ch.	Chapter
CISG	Convention on International Sale of Goods
Comm.	Commerce
Comp.	Comparative

DCFR	Draft Common Frame Reference
Ed.	Edition
GIZ	Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit
ICC	International Chamber of Commerce
Int'l	International
J.	Journal
L.	Law
No.	Number
Nr.	Nummer
p.	Page
Para.	Paragraph
Paras.	Paragraphs
PECL	Principles of European Contract Law
pp.	Pages
Sch.	School
Seq.	Sequel
UNIDROIT	International Institute for the Unification of Private Law
Vol.	Volume
ГК	Гражданский Кодекс
РФ	Российская Федерация

შესავალი

სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ და უზოგადეს პრინციპს წარმოადგენს Pacta Sunt Servanda-ს პრინციპი,¹ რომლის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ყოველთვის უნდა შესრულდეს,² უფრო მეტიც, მხარეების მიერ სათანადო წესით შედგენილი ხელშეკრულების პირობები მათთვის კანონის ძალას ატარებს.³

ერთი მხრივ, Pacta Sunt Servanda-ს პრინციპი უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მონაწილე მხარეების უფლებების დაცვას.⁴ მეორე მხრივ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული პრინციპის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისი მიზნის საპირისპირო შედეგები.⁵ წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების თავდაპირველი პირობები მოულოდნელად და ფუნდამენტურად შეიცვალა და მხარეები, აღნიშნულის შესახებ გაფორმების მომენტში რომ ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი, არ დადებდნენ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ სხვა პირობებით. ასეთი ცვლილებების დროს, ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულების მოთხოვნა ეწინააღმდეგება როგორც კეთილსინდისიერების პრინციპს,⁶ ასევე, მოვალის ხელშეკრულების დადებისას არსებულ ნებას და მისთვის მძიმე ტვირთად იქცევა. შეცვლილი გარემოებები უფრო აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. ეს უკანასკნელი გამოწვეულია საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებების კომპლექსური ხასიათით.⁷

შეცვლილი გარემოებების საკითხის დარეგულირება, უკვე მრავალი საუკუნეა აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ რომის სამართალში შემუშავდა შეცვლილი გარემოებების მარეგულირებელი ორი ძირითადი კონცეფცია, კერძოდ, შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი) და შესრულების გართულება (Rebus Sic Stantibus). ხსნებული პრინციპები, მართალია, ორივე მათგანი შეცვლილ

¹ Chengwei L., *Changed Contract Circumstances*, 2nd edition: Case annotated update, 2005, ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu12.html>> [12.07.2019]

² ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, რედ: ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხუცურია, 2001, 45.

³ Lando O., *CISG and Its Followers: A Proposal to Adopt Some International Principles of Contract Law*, 53 *American Journal of Comparative Law*, 2005, 379-401.

⁴ ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართლის ავტორთა კრებულში, რედ: გიორგი ჯუღელი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 365.

⁵ Dietrich M., *Hardship and Force Majeure*, *Am. J. Comp. L.* 1992, 657-658. ხელმისაწვდომია: <https://www.trans-lex.org/126400/_maskow-dietrich-hardship-and-force-majeure-40-amjcompl-1992-at-657-et-seq/> [12.07.2019]

⁶ Brunner C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration*, *Kluwer Law International B.V.*, 2008, 436-437.

⁷ Essa A., *Passing of Risk in International Contracts of Sale of Goods; A Comparative Study Between the United Nations Convention on Contracts for Sale of Goods 1980 and the English Sale of Goods Act 1979*; ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/alazemi.html>> [12.07.2019]

გარემოებებს უკავშირდება, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდ სირთულეს წარმოადგენს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელ კონცეფციას, თუმცა განსაზღვრავს მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რომლებიც არაეფექტურს ხდის მის როლს სასამართლო პრაქტიკაში. ხსენებული კონცეფციის ნორმატიული შინაარსის ბუნდოვანება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების მიღწევისათვის საჭირო მექანიზმების არარსებობა, აღნიშნული ინსტიტუტის საფუძვლიანად გამოკვლევისა და განვითარების საჭიროებას ქმნის. ამ უკანასკნელის მოწესრიგების აუცილებლობის ხარისხი, განსაკუთრებით, მაღალია პოსტ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში⁸, სადაც სამოქალაქო ბრუნვის არასტაბილურის გამო, ნებისმიერმა მცირედმა ცვლილებამაც კი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარეთა სახელშეკრულებო ინტერესებს.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ვალდებულების შესრულების გართულების უნიფიცირებული სამართლის კონცეფციის დეტალურ განხილვასა და მის შედარებას ქართული სამართლით შემუშავებულ კონცეფციასთან, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში შეცვლილი გარემოებების კონცეფციის მიმოხილვასა და მის გამიჯვნას ფორს-მაჟორული გარემოებებისგან. ამისათვის, ნაშრომის პირველი ნაწილი შეეხება ვალდებულების შესრულების კონცეფციის ისტორიულ განვითარებასა და მის თანამედროვე მნიშვნელობას. მეორე ნაწილში წარმოდგენილია ფორს-მაჟორისა და შესრულების გართულების გამიჯვნის საკითხების დეტალური განხილვა. მესამე ნაწილში მიმოხილულია ვალდებულების შესრულების გართულების მუხლების შედგენასა და ინკორპორირებასთან დაკავშირებული პრობლემური და პრაქტიკული ასპექტები. მეოთხე და მეხუთე ნაწილები შეეხება უნიფიცირებული სამართლის მიერ შემუშავებული კონცეფციის დეტალურ განხილვას. მეექვსე ნაწილში კი წარმოდგენილია უნიფიცირებული და ქართული ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფციების შედარებით სამართლებრივი ანალიზი.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია ზოგად - სამეცნიერო და კერძო სამართლის მეთოდები: მატერიალისტური დიალექტიკის, რომელიც, ანალიზთან, სინთეზსა და მოდელირებასთან ერთად, რეალობის ობიექტური ცოდნის ძირითად მეთოდს წარმოადგენს. კვლევისთვის ასევე გამოყენებულია სისტემური, ფორმალურ - სამართლებრივი და შედარებით - სამართლებრივი მეთოდები. წინამდებარე ნაშრომი შედგება სარჩევის, შესავლის, ძირითადი ნაწილის, რომელიც მოიცავს ექვს თავსა და ათ ქვეთავს, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

⁸ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, 2007, 22-23; მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისგაველენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 16

1. შესრულების გართულების კონცეფციის ისტორიული განვითარება

1.1. შესრულების გართულების კონცეფცია რომის სამართალში (Rebus Sic Stantibus)

ვალდებულების შესრულებაზე შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო პრობლემის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ რომის სამართლიდან დაწყებული ინარჩუნებს აქტუალურობას. Pacta sunt servanda-ს საპირისპირო პრინციპი რომის სამართალში Clausula Rebus Sic Stantibus-ის პრინციპის სახელით იყო ცნობილი.⁹ Rebus Sic Stantibus არის სამართლის ზოგადი პრინციპი, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ, ამავდროულად, იგი იკავებს თავის ადგილს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში.¹⁰

Clausula Rebus Sic Stantibus-ის პრინციპი მიზნად ისახავდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გართულების შემთხვევაში, უზრუნველყო მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება.¹¹ ხსენებული პრინციპი გამოხატავდა კონტრაქტის მდგომარეობას, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მხარისათვის მანამ იყო სავალდებულო, სანამ ხელშეკრულების დადების დროისათვის არსებული გარემოებები უცვლელი რჩებოდა.¹² აღნიშნული პირობებისა და გარემოებების შეცვლა წარმოადგენდა ხელშეკრულების ან მისი კონკრეტული ნაწილების შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგების ან/და შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს. შესაბამისად, თუ შეცვლილი გარემოებების გამო, ხელშეკრულების შესრულება მხარისათვის განსაკუთრებით მძიმე ტვირთად იქცეოდა მაშინ აღნიშნული პრინციპი ითხოვდა, რომ მხარეებს მიესადაგებინათ ხელშეკრულების პირობები შეცვლილი გარემოებებისადმი.¹³

ისტორიულად, საერთაშორისო სამართლის ნორმებში, Rebus Sic Stantibus-ის პრინციპმა აღიარება მოიპოვა მე-18 საუკუნეში, თუმცა შემდგომში, კრიტიკა

⁹ *Frederick R. F.*, Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance., Thelen Reid & Priest LLP., American Bar Association Section of International Law., Spring Meeting 2006.

ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>> [12.07.2019].

¹⁰ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, 415-417.

¹¹ *Melis W.*, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practices of the ICC Court of Arbitration, 1 J. Int'l Arb., 1984, 215-216; *Strobach, H.*, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts and Arbitration: The East-German Approach', J. Int'l. Arb., Kluwer Law International, Vol. 1, 1984, 39-40.

¹² *Van Houtte, H.*, Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda, in: Gaillard (ed.), Transnational Rules in International Commercial Arbitration (ICC Publ. Nr. 480,4) 1993, 111.

¹³ *Frederick R. F.*, Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance., Thelen Reid & Priest LLP., American Bar Association Section of International Law., Spring Meeting 2006, ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>> [12.07.2019].

დაიმსახურა მისი ბუნდოვანი განმარტების გამო,¹⁴ რის შედეგადაც, მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში მკვდარი პრინციპის სტატუსი მიიღო.¹⁵

1.2. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარების ეტაპები მე-20 საუკუნის ბოლომდე

19-ე საუკუნის დასაწყისში *Rebus sis Stantibus*-სათვის მკვდარი პრინციპის სტატუსის მინიჭების მიუხედავად, მის საფუძველზე რამდენიმე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემებში მსგავსი პრინციპები ჩამოყალიბდა. სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების მარეგულირებელ პრინციპებს მოიცავს. მაგალითად, ფრანგულ სამართალში აღნიშნული პრინციპი (*theorie de l'Imprevision*)¹⁶ სახელწოდებით, გერმანულ სამართალში კი (*Wegfall der Geschäftsgrundlage*)¹⁷ სახელწოდებით ჩამოყალიბდა. რაც შეეხება საერთო სასამართლოების ქვეყნებს, შეცვლილი გარემოებების გამო შესრულების გართულების საკითხი მოწესრიგებულია კომერციული განუხორციელებლობისა (*Commercial Impracticability*)¹⁸ და ხელშეკრულების მიზნის ამაოების (*Frustration of Purpose*)¹⁹ თანხმედრი პრინციპებით.

1.2.1. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარება ფრანგულ სამართალში

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფრანგი იურისტები აცხადებდნენ, რომ ნაპოლეონის კოდექსი ითვალისწინებდა *Rebus sis Stantibus*-ის ან როგორც თვითონ უწოდებდნენ *theorie de l'Imprevision*-ის პრინციპს. აღნიშნული უზრუნველყოფდა ვალდებულების შესრულების გართულებისას მხარეთა მიერ მოლაპარაკებების წარმოებას, ხელშეკრულების გადასინჯვასა და სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ადაპტაციას.²⁰ თუმცა, სამოქალაქო და კომერციულმა სასამართლოებმა და განსაკუთრებით საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ (*Cour de Cassation*) უარყვეს ხსენებული პრინციპის არსებობა. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს მიერ *De Galliffet v. Commune de Pélissane* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, იმ შემთხვევაში როდესაც ვალდებულების შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია,

¹⁴ *Chengwei, L.*, Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL., L. Sch. of Renmin University of China., (2003) ch. 19.3.1; ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/chengwei.html>> [12.07.2019].

¹⁵ იხ., იქვე

¹⁶ *Ciongaru, E.*, Theory of Imprevison, a Legal Mechanism for Restoring of the Contractual Justice. *Procedia - Social and Behavioral Sciences*. 2014, 175.

¹⁷ *Puelinckx, A.H.*, Frustration, Hardship, Force Majeure, Imprévision, Wegfall der Geschäftsgrundlage, Unmöglichkeit, Changed Circumstances, 3 J. Int'l Arb. No. 2, at 47 et seq. (1986) p. 50; ხელმისაწვდომის: <<https://www.trans-lex.org/12810>> [12.07.2019].

¹⁸ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 32.

¹⁹ იხ., იქვე.

²⁰ იხ., იქვე, გვ. 80.

შეცვლილი გარემოება ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს.²¹ აღნიშნულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ (Cour d'appel d'Aix-en-Provence) შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულების ადაპტაციით დაარღვია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლი, რომელიც აბსოლუტურ სახელშეკრულებო პრინციპად აღიარებს pacta sunt servanda-ს პრინციპს.²²

საფრანგეთის ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ გაიზიარეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და არაერთხელ დაუშვეს შეცვლილი გარემოებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.²³ მოცემულ შემთხვევაში, პრობლემურს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საფრანგეთის ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სახელწიფო საბჭო (Conseil d'Etat) ადმინისტრაციულ სამართალზე ხოლო სამოქალაქო და კომერციული სასამართლოები ნაპოლეონის კოდექსზე დაყრდნობით იღებდნენ გადაწყვეტილებებს. როგორც პროფესორი როსენი აღნიშნავს, „საფრანგეთში *théorie de l'imprévision* პრინციპი არეგულირებს მხოლოდ სახელმწიფო კონტრაქტორების მიერ წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებებისას ვალდებულების თავიდან აცილების საკითხებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო სერვისების გამართულ ფუნქციონირებას.“²⁴ აღსანიშნავია, რომ ვალდებულების შესრულების გართულების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ ადაპტაციის უფლება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ აისახა, კერძოდ, 1195-ე მუხლში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ *théorie de l'imprévision*-ის პრინციპი ცვლილების შეტანამდე მხოლოდ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებზე ვრცელდებოდა.

1.2.2. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარება გერმანულ სამართალში

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში „გარიგების საფუძვლის რღვევის“ თეორიის გამოყენება (*Wegfall der Geschäftsgrundlage*)²⁵ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.²⁶ აღნიშნულს კი საფუძვლად დაედო ჰიპერინფლაციით გამოწვეული მოულოდნელი ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც ძალზედ ართულებდა სახელშეკრულებო

²¹ *ob.*, საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 6 მარტის 1876 წლის გადაწყვეტილება საქმეზე: *De Galliffet v. Commune de Pélissane*.

²² *ob.*, იქვე.

²³ *ob.*, საფრანგეთის ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სახელწიფო საბჭოს გადაწყვეტილება: 1916 წლის მარტის საქმეზე, *Compagnie Generale d'Eclairage de Bordeaux v. Ville de Bordeaux*.

²⁴ *Rossen, K.*, *Law and Inflation*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1982, 87.

²⁵ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 59.

²⁶ *Петрищев В. С.*, *Существенное Изменение Обстоятельств: Правоприменение Ст. 451 Гк РФ И Опыт Стран Общего И Континентального Права*, Москва Государственный Университет Высшая Школа Экономики, 2007, 40.

ვალდებულებების შესრულებას.²⁷ ხსენებული პრინციპი ასახულია გსკ-ის 313-ე პარაგრაფში და მის განვითარებაში უდიდესი წილი მიუძღვის პროფესორ ორტმანს.²⁸ „გარიგების საფუძვლის რღვევის“ თეორია აწესრიგებს შეცვლილი გარემოებების გავლენას ვალდებულების შესრულებაზე, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა არსებითად შეცვალეს თავდაპირველი პირობები და გარიგების საფუძვლები აღარ არსებობს, სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეები იხსნიან ვალდებულებას შეასრულონ ხელშეკრულება თავდაპირველი პირობებით. გსკ-ის 313-ე მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა, და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შესაძლებელია მხარეებს მოეთხოვოთ ხელშეკრულების მისადაგება.²⁹ მნიშვნელოვანია გსკ-ის 313-ე პარაგრაფის გამიჯვნა გსკ-ის 275-ე პარაგრაფისგან (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა), კერძოდ, 313-ე პარაგრაფი არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, თუმცა, ზოგადი ცხოვრებისეული შეფასებით, არაგონივრულია.³⁰ ქართულ სამართალში „გარიგების რღვევის თეორიის“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი - „ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი“, რომელზეც დეტალურად ვისაუბრებთ წინამდებარე ნაშრომის მე-6 თავში.

1.2.3. შესრულების გართულების კონცეფციის განვითარება საერთო სასამართლოების ქვეყნებში

საერთო სასამართლოების ქვეყნებს *rebus sic stantibus*-ის პრინციპი არ შემოუღიათ. მიუხედავად ამისა, მათ მოახერხეს, აღნიშნული პრინციპის შინაარსისა და შედეგების ანალოგიური სამართლებრივი კონცეფციების ჩამოყალიბება. იგი ცნობილია, როგორც კომერციული განუხორციელებლობისა (*Commercial Impracticability*) და ხელშეკრულების მიზნის ამაოების (*Frustration of Purpose*) პრინციპების სახელწოდებით.

ხელშეკრულების მიზნის ამაოების პრინციპი სათავეს იღებს ანგლო-საქსური სამართლიდან. ბრიტანულ სამართალში სახელშეკრულებო ვალდებულების აბსოლუტურობის თეორიის საპირისპირო თეორია ჩამოყალიბდა *Taylor v. Caldwell*-ის 1863 წლის საქმეში. მოცემულ შემთხვევაზე სასამართლომ უარი თქვა სახელშეკრულებო

²⁷ იხ., იქვე

²⁸ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, 405.

²⁹ იხ., გერმანული სამოქალაქო კოდექსის (გსკ-ის) 313 პარაგრაფის 1-ლი პუნქტი.

³⁰ *კროფჰოლერი, ი., ფლორიან, ი., მიხაელ, ფ. ჰ.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - სასწავლო კომენტარი., GIZ IRZ, თბილისი, 2014, 217.

ვალდებულების აბსოლუტურობის პრინციპის გამოყენებაზე და მის ნაცვლად შეიმუშავა „ნაგულისხმევი პირობების“ თეორია,³¹ რომლის თანახმადაც მხარეები თავისუფლდებიან სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისგან თუ ხელშეკრულების გაფორმების დროს არსებული „ნაგულისხმევი პირობები“ არსებითად შეიცვალა.

ხელშეკრულების აბსოლუტურობის საწინააღმდეგო თეორია „ხელშეკრულების მიზნის ამაოების,, (Frustration of Purpose) პრინციპის სახით, საბოლოოდ განვითარდა ინგლისის ლორდთა პალატის 1956 წლის გადაწყვეტილებით, საქმეზე Davis Contractors Ltd. v. Fareham U.D.C.³² აღნიშნულ შემთხვევაზე, ლორდ რედკლიფმა აღნიშნა, რომ „მიზნის ამაოება სახეზეა, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება მიზანს კარგავს მხარეთა ბრალის არარსებობით, კერძოდ, იმ გარემოებათა გამო, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებებისგან.“³³ აღნიშნული კონცეფცია ასევე გაზიარებულია კანადის, ახალი ზელანდიის და ავსტრალიის სასამართლოების მიერ. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკელმა იურისტებმა განავითარეს ხელშეკრულების მიზნის ამაოების (Frustration of Purpose) თანხმედრი პრინციპი, რომელიც ცნობილია კომერციული განუხორციელებლობის (Commercial Impracticability) პრინციპის სახით.

კომერციული განუხორციელებლობის პრინციპი განვითარდა 1966 წელს აშშ-ის კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე Financing Corporation v. United States of America.³⁴ აღნიშნულ შემთხვევაზე სასამართლომ შეიმუშავა კომერციული განუხორციელებლობის სამ ეტაპიანი ტესტი,³⁵ რომლის თანახმადაც: (1) სახეზე უნდა იყოს მოულოდნელი გარემოება; (2) მხარეებს შორის ხელშეკრულებით ან კანონით არ უნდა იყოს მოულოდნელი გარემოების წარმოშობის რისკი გათვალისწინებული და (3) ვალდებულების შესრულება უნდა იყოს არაპრაქტიკული. არაპრაქტიკულობის საკითხი კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს დასადგენია. მოცემული კონცეფცია მიღებულია ამერიკის ერთიანი კომერციული კოდექსით.³⁶

შუალედური დასკვნა

შუალედური დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რომ მე-20 საუკუნეში, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში Rebus sic stantibus-ის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა. საფრანგეთში აღნიშნულ პრინციპს სამოქალაქო

³¹ იხ., Taylor v Caldwell., England and Wales High Court (Queen's Bench Division) Decisions (1863); ხელმისაწვდომია: <<http://www.bailii.org/ew/cases/EWHC/QB/1863/J1.html>> [12.07.2019].

³² იხ., Davis Contractors Ltd v Fareham Urban District Council., United Kingdom House of Lords Decisions (1956); ხელმისაწვდომია: <<http://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1956/3.html>> [12.07.2019]

³³ იხ., იქვე

³⁴ იხ., Transatlantic Financing Corporation v. United States of America., United States Court of Appeals District of Columbia Circuit Decision (1966); ხელმისაწვდომია: <<https://www.trans-lex.org/308300>> [12.07.2019].

³⁵ იხ., იქვე.

³⁶ იხ., U.S United Commercial Code (UCC) - 2-615;

სამართალი არ იცნობდა, თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალში იგი აქტიურად გამოიყენებოდა. გერმანულ სამართალში *Rebus sic stantibus*-ის პრინციპი სამოქალაქო და კომერციულ კოდექსებში დამკვიდრდა სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებით. აღნიშნული კი, გამოწვეული იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომ არსებული ჰიპერინფლაციით. რაც შეეხება საერთო სასამართლოების ქვეყნებს, *rebus sic stantibus*-ის კონცეფცია არ შემოღებულა. ამასთან, საერთო სასამართლოების ქვეყნებმა, პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბებით, განავითარეს *rebus sic stantibus*-ის ანალოგიური კონცეფციები.

1.3 შესრულების გართულების კონცეფციის თანამედროვე მნიშვნელობა

ხელშეკრულების აბსოლუტურობის პრინციპის მიმართ უკვე არსებული განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, თანამედროვე პერიოდში, მნიშვნელოვანი გახდა ვალდებულების გართულების სამართლებრივი საფუძვლებისა და შედეგების დეტალური შესწავლა. მოცემული პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებით გამოწვეულია გრძელვადიანი ხელშეკრულებების რაოდენობრივი ზრდის გამო, რომლებიც საკმაოდ სენსიტიურია წინასწარ გაუთვალისწინებადი ცვლილებების მიმართ. აქედან გამომდინარე, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში აუცილებელია შეცვლილი გარემოებით გამოწვეული შესრულების გართულების მარეგულირებელი სისტემის არსებობა.³⁷ ამასთან, მიუხედავად არსებული კონცეფციების მრავალფეროვნებისა აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ ძალზედ ბუნდოვანია. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ დონეზე შეცვლილი გარემოებების მოწესრიგების ერთიანი რეგულირება და მიდგომა არ არსებობს. როგორც აღინიშნა შიდა სამართლებრივ დონეზე, ერთმანეთის მსგავსი თუმცა, არსებითი განსხვავების მქონე კონცეფციები მოქმედებს. შესაბამისად, მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი მუხლის ფორმულირებას ხელშეკრულებაში ინკორპორირების დროს.³⁸ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში ხელშეკრულების ადაპტაციის აუცილებლობა, მათთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების არარსებობა, სხვადასხვა ქვეყნებში შეცვლილ გარემოებების მიმართ სხვადასხვა სამართლებრივი შედეგების არსებობის რისკები, სასამართლო ხარჯები, საქმის ხანგრძლივობა და მხარეების მიერ დაკარგული დრო, კიდევ ერთხელ უთითებს ამ დებულების მნიშვნელობაზე.³⁹

³⁷ *Frederick R. F.*, *Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts*, *Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance.*, American Bar Association Section of International Law, 2006, 11.

³⁸ *Jennifer M. B.*, *Force majeure Clauses: Drafting Advice for the CISG Practitioner*, 17 *Journal of Law and Commerce*, 1998, 381-413.

³⁹ *Topuz S.*, *Denge Bozulması ve İfa Güçlüğü Durumlarında Sözleşmeye Müdahale*, *Yetkin Yayınları*, Ankara, 2009, 165.

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით მე-20 საუკუნის ბოლოსკენ დაიწყო ვალდებულების გართულების უნიფიცირებული კონცეფციის შემუშავება. დღეს, შეცვლილი გარემოებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფცია პირდაპირ არის მიღებული: (1) უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებში (PICC)⁴⁰, (2) ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში (PECL)⁴¹ და (3) ევროპული კერძო სამართლის წესებში⁴² - განმარტებები და მოდელური წესები (DCFR). ამასთან, 2003 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ გამოაქვეყნა ვალდებულების შესრულების გართულების მომწესრიგებელი ნორმა (ICC Hardship Clause)⁴³, როგორც მოდელური მუხლი. ვალდებულების შესრულების გართულების პრინციპის თანამედროვე სახელწოდება უნიფიცირებულ სამართალში შეესიტყვება ტერმინ - Hardship - ს.⁴⁴.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (1980) კონვენციას (CISG), იგი შესრულების გართულების სპეციალურ მუხლს არ შეიცავს. ვენის კონვენციის 79-ე მუხლი არ იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა შესრულების შეუძლებლობა ან გართულება.⁴⁵ თუმცა, აღნიშნული მუხლი გამორიცხავს პასუხისმგებლობას ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, რომელიც გამოწვეულია კონტროლის მიღმა გარემოებით.⁴⁶ წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დეტალურად მიმოიხილება უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებისა და ვენის კონვენციის მიერ შემოღებული ვალდებულების გართულების კონცეფცია და მათი ურთიერთდამოკიდებულება. აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია ნაშრომის მე-4 და მე-5 თავებში.

2. შესრულების შეუძლებლობისა (ფორს-მაჟორი) და შესრულების გართულების ურთიერთგამიჯვნა

შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული სირთულეების მიმართ ორი ძირითადი სამართლებრივი პრინციპი გამოიყენება, შესრულების შეუძლებლობა (force-majeure) და შესრულების გართულება (hardship). ამ ორი პრინციპის ერთმანეთისგან გამიჯვნა აუცილებელია, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი განსხვავებული დამაბრკოლებელი გარემოებით არიან განპირობებულნი და განსხვავებულ შედეგებს იწვევენ.⁴⁷

⁴⁰ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები მუხლი (PICC) Art. 6.2.2, 2004.

⁴¹ იხ., ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (PECL) Art. 6:111, 1999.

⁴² იხ., Draft Contract Frame Reference (DCFR) Art. III. - 1: 110, 2008.

⁴³ იხ., ICC 2003/Hardship Clause.

⁴⁴ აღნიშნული ტერმინის ქართული შესატყვისი არ არსებობს და წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის გამოყენებული იქნება ტერმინი „ვალდებულების შესრულების გართულება“.

⁴⁵ *Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade., Faculty of Law of the University of Turku, Private law publication series B:55., Turku, 2001, ¶ 1.2.

⁴⁶ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, 157.

⁴⁷ *Kofod R.*, Hardship in International Sales CISG and the UNIDROIT Principles, University of Copenhagen Faculty of Law, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2011, ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kofod.html>> [12.07.2019].

შესრულების გართულების პრინციპის უკეთ აღქმისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ამ ორი პრინციპის სამართლებრივი საფუძვლების, გამოყენების სფეროებისა და შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

2.1 არსობრივი მახასიათებლების მიხედვით

შესრულების შეუძლებლობისა (force-majeure) და შესრულების გართულების (hardship) პრინციპი მიზნად ისახავს იმ ზიანის შემცირებას, რაც მიადგა ხელშეკრულების ერთ მხარეს შეცვლილი გარემოებების გამო.⁴⁸ შესაბამისად, ორივე პრინციპი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რადგან ორივე მათგანი მიზნად ისახავს შეცვლილ გარემოებების შედეგების დარეგულირებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ცნობილია, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება და იგი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ პრინციპს წარმოადგენს.⁴⁹ იგი რომის სამართალში Vis Major-ის პრინციპის სახით იყო ცნობილი და მიზნად ისახავდა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ფარგლების შეზღუდვას.⁵⁰ ფორს-მაჟორის ქვეშ ძირითადად იგულისხმება ისეთი გარემოებები, რომლებიც წარმოშობილია მოვალისგან დამოუკიდებელი მიზეზებისა და მისი კონტროლის მიღმა არსებული მოვლენების გამო, რის შედეგადაც იგი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.⁵¹ ასეთ გარემოებებზე კი ძირითადად ითვლება, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ომები და ა.შ.⁵² ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს კანონში ცვლილებებით (მაგ: ახალი კანონი კრძალავს ამა თუ იმ საქონლის გაყიდვას).⁵³

მეორე მხრივ, ვალდებულების შესრულების გართულება მიზნად ისახავს, უზრუნველყოს მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება.⁵⁴ ხსენებული პრინციპის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მხარისათვის მანამ არის სავალდებულო, სანამ

⁴⁸ *Sornarajah M.*, Supremacy of the Renegotiations Clause in International Contracts, 5 J Int'l Arb. 1988, 113.

⁴⁹ *Ugo Draetta*, Force Majeure Clauses in International Trade Practice, 5 International Business Law Journal, 1996, 547.

⁵⁰ *Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private law publication series B:55, 2001, para 2.3.

⁵¹ იხ., იქვე.

⁵² *Stone, R.*, The modern law of contract. Routledge, London and New York, 2013, 414.

⁵³ *Halson, R.*, Contract Law., Pearson, Harlow, 2013, 423-425.

⁵⁴ *Melis W.*, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practices of the ICC Court of Arbitration, 1 J.Int'l Arb., 1984, 215-216. *Strobach, H.*, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts and Arbitration: The East-German Approach', Journal of International Arbitration, Kluwer Law International, Vol. 1, 1984, 39-40.

ხელშეკრულების დადების დროისათვის არსებული გარემოებები უცვლელი რჩება.⁵⁵ შესაბამისად, თუ შეცვლილი გარემოებების გამო, ხელშეკრულების შესრულება მხარისათვის განსაკუთრებით მძიმე ტვირთად იქცა, მაშინ აღნიშნული პრინციპი ითხოვს, რომ მხარეები შეეცადონ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგებას.⁵⁶ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულების მოთხოვნა, როდესაც შეცვლილმა გარემოებამ ფუნდამენტურად შეცვალა ხელშეკრულების დადების დროისათვის არსებული პირობები, ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.⁵⁷

ორივე პრინციპის არსობრივი მახასიათებლები თითქმის იდენტურია. როგორც ფორს-მაჟორი, ასევე შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს წინასწარ გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი გარემოებით.⁵⁸ ფორს-მაჟორისა და შესრულების გართულების შემდეგი მსგავსება არის ის, რომ ერთიცა და მეორეც უნდა სცილდებოდეს მოვალის კონტროლის ფარგლებს.⁵⁹ ამასთან, ორივე შემთხვევაში, დაბრკოლება არ უნდა იყოს გამოწვეული რომელიმე მხარის ბრალეული ქმედებით.⁶⁰

აღსანიშნავია, რომ ფორს-მაჟორის პრინციპი არ არის საჯარო წესრიგად აღიარებული და მხარეებს ხელშეკრულებით შეუძლიათ გაითვალისწინონ რომელი კონკრეტული შემთხვევა ჩათვლება ფორს-მაჟორად და რომელი არა.⁶¹ თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული პრინციპი, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, მოქმედებს მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი მოწესრიგებული ხელშეკრულებით⁶², შესაბამისად, მხარეებს არ შეუძლიათ მთლიანად გამორიცხონ ფორს-მაჟორის მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ჩათვლებოდა კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად.⁶³ ამრიგად, ფორს-მაჟორის ფარგლებში, საუბარია ისეთ გარემოებებზე, როდესაც ხელშეკრულების

⁵⁵ *Van Houtte, H.*, Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda, in: Gaillard (ed.), *Transnational Rules in International Commercial Arbitration* (ICC Publ. Nr. 480,4) 1993, 111.

⁵⁶ *Frederick R. F.*, Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance., Thelen Reid & Priest LLP., American Bar Association Section of International Law., Spring Meeting, 2006, ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>> [12.07.2019].

⁵⁷ *De Silveira, A.*, Trade Sanctions and International Sales: An Inquiry into International Arbitration and Commercial Litigation, Kluwer Law International, 2014, 323.

⁵⁸ *Schwenzer I.*, Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, 39 *Victoria U. Wellington L. Rev.* 2009, 714-716.

⁵⁹ *Rimke J.*, Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods*, Kluwer, 2000, 199-200.

⁶⁰ *Ümmühan K.*, Sözleşmenin Uyarlanmasında Sonradan Değişen Şartlar Ve Öngörülemezlik İlkesi., *Marmara Üniversitesi Hukuk Fakültesi Hukuk Araştırmaları Dergisi* Vol. 22, Issue 3., 2016, 1577.

⁶¹ *Catherine K.*, Competing Approaches to Force Majeure and Hardship., *Université Panthéon-Paris II, France.*, *International Review of Law and Economics.*, 2005), 426.

⁶² *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, *უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2014, 34.

⁶³ *Catherine K.*, Competing Approaches to Force Majeure and Hardship., *Université Panthéon-Paris II, France.*, *International Review of Law and Economics*, 2005, 426.

შესრულება კონკრეტულ ვითარებაში შეუძლებელია, ხსენებული კი გამოწვეულია მხარეებისგან დამოუკიდებელი მიზეზითა და მათი ბრალის გარეშე. შესაბამისად, ფორს-მაჟორი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალე მოკლებულია შესაძლებლობას, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

შეუძლებლობისგან განსხვავებით, შესრულების გართულება აბსოლუტურად განსხვავებულ შემთხვევებს ითვალისწინებს. შესრულების გართულების შესატყვისი მუხლის ხელშეკრულებაში ინკორპორირებით, მხარეები თანხმდებიან იმ მექანიზმზე, რომელიც უზრუნველყოფს შესრულების თავდაპირველი პირობების გადახედვასა და ადაპტაციას, რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი, კონტროლის მიღმა გარემოების გამო ხელშეკრულების შესრულების ეკონომიკურად გართულების შემთხვევაში.⁶⁴ შესრულების გართულების მუხლი მიზნად ისახავს არა პასუხისმგებლობის გამორიცხვასა და ხელშეკრულების შეწყვეტას, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას.⁶⁵ აქედან გამომდინარე, მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად შეეცადონ ხელშეკრულების პირობების მისადაგებას იმ მოტივით, რომ შეინარჩუნონ მათ შორის არსებული ურთიერთობა.

2.2. თანმდევი სამართლებრივი შედეგების მიხედვით

არსობრივი მახასიათებლების შემდეგ ხსენებულ პრინციპებს შორის ცალსახა განსხვავებას წარმოადგენს მათი შედეგები. შესრულების გართულების დროს, მოულოდნელად შეცვლილი გარემოებების გამო, ვალდებულების თავდაპირველი პირობებით შესრულება მძიმე ტვირთად აწვება მოვალეს და ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კი, მხარეებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოვალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება. ამრიგად, ამ ორ პრინციპს შორის არსებობს შედეგობრივი განსხვავება.

შესრულების გართულება მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებას, მოლაპარაკების დაწყებას, შესრულების გართულების გამომწვევი მიზეზების აღმოცენების შემთხვევაში და ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებას.⁶⁶ ამრიგად, შესრულების შეუძლებლობისგან განსხვავებით, შესრულების გართულება ითვალისწინებს სამ სამართლებრივ შედეგს: (1) მოლაპარაკების წარმოების აუცილებლობა, (2) სასამართლოს მიერ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, სხვაგვარად რომ ითქვას - ადაპტაცია და (3) ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან, ადაპტაცია და შეწყვეტა ალტერნატიული სამართლებრივი შედეგებია. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკების წარმოება თავის თავში არ გულისხმობს სამართლებრივი შედეგის დადგომას, არამედ იგი ადაპტაციის ან

⁶⁴ *Wouter D.H.*, in "Drafting Hardship Clauses in International Contracts": Structuring International Contracts, Dennis Campbell ed. (1996); p. 234

⁶⁵ *Schmitthoff C.M.*, Schmitthoff's Export Trade 146 8 ed. 1986, 648.

⁶⁶ იხ., იქვე.

ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობაა. ამრიგად, ვალდებულების შესრულების გართულების დროს, მოვალეს შეუძლია მოლაპარაკების მეშვეობით შეეცადოს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი ან აღნიშნული მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით.⁶⁷ მეორე მხრივ, თუ ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელია ან აღარ არის მიზანშეწონილი შეუსაბამოდ მაღალ ხარჯების გამო, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წყდება ხელშეკრულება.

შესრულების შეუძლებლობის პრინციპის დროს კი, დგება შესრულების შეუძლებლობით გამოწვეული სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის პასუხისმგებლობისგან გათვისუფლებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

შუალედური დასკვნა

შეცვლილი გარემოებების მიმართ არსებული ორი ძირითადი პრინციპი, კერძოდ, შესრულების შეუძლებლობა და შესრულების გართულება, მათ შორის არსებული მსგავსი თვისებებისა და გამოწვევი მიზეზების მიუხედავად, რადიკალურად განსხვავებულ შემთხვევებს არეგულირებენ. კერძოდ, აღნიშნულში იგულისხმება წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარის კონტროლის მიღმა არსებული გარემოება, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არ არსებობდა ან/და მხარეთათვის არ იყო ცნობილი. შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარე ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ სახელშეკრულებო ვალდებულებას. შესრულების გართულების შემთხვევაში კი, მხარეს კვლავ შეუძლია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, თუმცა, შედარებით რთულად მაგ. ვალდებულების შესრულება მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამრიგად, შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან და წყვეტენ სახელშეკრულებო ურთიერთობას. ხოლო შესრულების გართულების დროს, თავდაპირველად, მხარეები ვალდებულნი არიან მოლაპარაკების წარმოების მეშვეობით სცადონ ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება, ხოლო შემდგომ, ხსენებულის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, მიმართონ სასამართლოს. მხარეები მხოლოდ ყოველივე ამის შემდგომ არიან უფლებამოსილნი შეწყვიტონ ხელშეკრულება.

⁶⁷ *De Silveira, A.*, Trade Sanctions and International Sales: An Inquiry into International Arbitration and Commercial Litigation, Kluwer Law International, 2014, 349.

3. შესრულების გართულების დათქმის კონსტრუირება (შედგენა) ხელშეკრულებაში

3.1. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის მნიშვნელობა სახელშეკრულებო ინტერესთა რეალიზების კონტექსტში

ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად წარმოშობილი პრობლემური საკითხები კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე რეგულირდება, ხოლო შესრულების გართულების დროს თავს იჩენს მტკიცების ტვირთისა და ადაპტაციის სირთულეები.⁶⁸

საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი დავის, რომელიმე ქვეყნის სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულებაში შესრულების გართულებისა და ადაპტაციის დებულების არარსებობისა, სასამართლოებს შეუძლიათ თავად აირჩიონ ხელშეკრულების ადაპტაციის გზა. თუმცა, ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო ინსტიტუტებში განსხვავებული მიდგომა არსებობს, კერძოდ, ხელშეკრულებაში შესრულების გართულებისა და ადაპტაციის დებულების არარსებობისას არ ვლინდება მხარეთა ნება ხელშეკრულების მისადაგებაზე.⁶⁹ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა დავის განმხილველ ორგანოდ საარბიტრაჟო ინსტიტუტი აირჩიეს, მნიშვნელოვანია, ხელშეკრულებაში ზემოხსენებული დებულებები პირდაპირ იყოს გათვალისწინებული. ამასთან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, შესრულების გართულებისა და ადაპტაციის დებულების არარსებობის პირობებში, მოსამართლის თვითნებურმა არჩევანმა, შესაძლოა, გამოიწვიოს მხარეთა ნების საწინააღმდეგო შედეგები. შესრულების გართულების მუხლის ხელშეკრულებაში ინკორპორირებისას, ასევე მნიშვნელოვანია, მისი სწორი ფორმულირება. ხელშეკრულებაში შეცვლილი გარემოებების მარეგულირებელი დებულების ინკორპორირებისას მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ შესრულების გართულების ზოგადი დახასიათება და ამით ფართო მნიშვნელობა მიანიჭონ მას.⁷⁰ ამის საპირისპიროდ, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების შინაარსისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო ვიწროდ და კონკრეტულად განსაზღვრონ თითოეული შემთხვევა, რომელიც, ხელშეკრულების მიზნებისთვის, შესრულების გართულებად ჩაითვლება.⁷¹

იმ შემთხვევაში თუ მხარეებს სურთ, შესრულების გართულების საყოველთაოდ აღიარებულისგან განსხვავებული გარემოებების ხელშეკრულებაში გათვალისწინება,

⁶⁸ *Topuz S., Denge Bozulması ve İfa Güçlüğü Durumlarında Sözleşmeye Müdahale*, Yetkin Yayınları, Ankara, 2009, 165.

⁶⁹ *Lake R.B./Nanda V.B./Draetta U., Breach and Adaptation of International Contracts*, Butterworths Tolley, 1992, 203.

⁷⁰ *Farnworth E.A., Farnsworth On Contracts*, Aspen Publishers New York, 2004, 678.

⁷¹ იხ., იქვე.

მაშინ მნიშვნელოვანია, თითოეული შემთხვევა დაწვრილებით იყოს განმარტებული.⁷² სპეციფიკური პირობის ხელშეკრულებაში განსაზღვრის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს აღნიშნული გარემოების წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის საკითხი.⁷³ თუმცა, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არა ამ გარემოების, არამედ, მათი წარმოშობის დროისა და შედეგების წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა.⁷⁴

ამასთან, შეუძლებელია, მხარეთა მიერ წინასწარ განისაზღვროს და ხელშეკრულებით მოწესრიგდეს ყველა დამაბრკოლებელი გარემოება. შესაბამისად, შესრულების გართულების დებულების შედგენისას, სასურველია, მხარეებმა გამოიყენონ ისეთი ფორმულირება, რომელიც მუხლის ჩამონათვალით არ ზღუდავს შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებებს (მაგალითად „ან/და მსგავსი გარემოებები“ ან „და არა მარტო“ და ა.შ).⁷⁵

შესრულების გართულების დებულების ფორმულირებისას, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, მისი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა. როგორც უკვე აღინიშნა, ფორს მაჟორისგან განსხვავებით, შესრულების გართულება ითვალისწინებს რამდენიმე სამართლებრივ შედეგს: კერძოდ, მოლაპარაკების წარმოება, სასამართლოს მიერ ადაპტაცია ან შეწყვეტა. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკების წარმოებისას, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებმა უნდა მიუსადაგონ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს. ხსენებული პრინციპის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს ევალებათ: აცნობონ მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ხელშეკრულების შესრულებას, სცადონ ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით მოლაპარაკების წარმოება და თუ შესაძლებელია, შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ზიანის შემცირება.⁷⁶ მოლაპარაკების კეთილსინდისიერად წარმოება ზოგად-სახელშეკრულებო პრინციპია, თუმცა აღნიშნულში არ იგულისხმება მხარეთა ვალდებულება მიაღწიონ კონკრეტულ შეთანხმებას.⁷⁷ ასე მაგალითად, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 2.1.15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს თავისუფლად შეუძლია მოლაპარაკებების წარმოება და არ არის პასუხისმგებელი შეთანხმების მიუღწევლობისთვის. ამასთან, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, არაკეთილსინდისიერია მხარე, რომელიც მოლაპარაკებების წარმოების დაწყებისთანავე, იმთავითვე, არ აპირებს მეორე მხარესთან შეთანხმების მიღწევას. სამწუხაროდ, მსგავს სიტუაციებში, ძალზედ რთულია, მხარის წინასწარი განწყობისა და

⁷² *Perillo J. M., Calamari J. D., Calamari and Perillo on Contracts, Fifth Edition, Thomson West, 2003, 550.*

⁷³ *Lake R.B./Nanda V.B./Draetta U., Breach and Adaptation of International Contracts, Butterworths Tolley, 1992, 181.*

⁷⁴ *Farnworth E.A., Farnworth On Contracts, Aspen Publishers New York, 2004, 678.*

⁷⁵ *Perillo J. M., Calamari J. D., Calamari and Perillo on Contracts, Fifth Edition, Thomson West, 2003, 550; Farnworth E.A., Farnworth On Contracts, Aspen Publishers New York, 2004, 676.*

⁷⁶ *Disa S., The Scope and Application of Good Faith in the Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2001, ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/sim1.html#148>> [12.07.2019].*

⁷⁷ *Berger, K. P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 36 Issue 4, 2003, 1366.*

შესაბამისად, კეთილსინდისიერების დადგენა. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მოლაპარაკებების წარმოების ვალდებულება ავტომატურად არ გულისხმობს ხელშეკრულების მისადაგებას და წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ მის ადაპტაციას.

იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ შესრულების გართულების დროს, სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნა *pacta sunt servanda*-ს პრინციპს ეწინააღმდეგება.⁷⁸ ამასთან, სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ამგვარი ჩარევა ეწინააღმდეგება ნების ავტონომიის პრინციპს. ერთ-ერთ საქმეზე, საარბიტრაჟო ინსტიტუტმა დაასკვნა, რომ არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ადაპტაცია დაუშვებელია, თუ აღნიშნულის თაობაზე ხელშეკრულებაში პირდაპირ შეთანხმებული დებულება არ არსებობს.⁷⁹ აქედან გამომდინარე, თუ მხარეებმა ხელშეკრულებით არ განსაზღვრეს შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგები, მაშინ, აღნიშნული დებულება შეიძლება ჩაითვალოს არაეფექტურად. ამრიგად, შესრულების გართულების ფორმულირებისას, ყოველგვარი ბუნდოვანებისა და საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია მხარეებმა განსაზღვრონ სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ადაპტაცია, როგორც შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი.

3.2 „რბილი სამართლით“ განსაზღვრული შესრულების გართულების შესახებ ნორმების ინკორპორირება ხელშეკრულებაში

იურიდიულ დოქტრინაში „რბილი სამართლის“ (soft law) ერთიანი დეფინიცია არ არსებობს.⁸⁰ ტრადიციული მიდგომის თანახმად, როგორც პროფესორი ვეილმი აღნიშნავს, „ეს არც რბილი სამართალია და არც მკაცრი სამართალი, ეს საერთოდ სამართალი არ არის“.⁸¹ იურიდიულ ლიტერატურაში, ყველაზე ფართოდ მიღებული განმარტების თანახმად, იგი ზოგადად ჩამოყალიბებული იურიდიული წესები და პრინციპებია, რომლებიც არ ატარებს სავალდებულო ხასიათს.⁸² ამრიგად, „რბილი სამართლის“ ინსტრუმენტები ნორმატიული ხასიათის მქონე სახელშეკრულებო წესებია და ისინი ნებაყოფლობით გამოიყენება.

⁷⁸ *Doudko, A. G.*, Hardship in Contract: The Approach of the UNIDROIT Principles and Legal Developments in Russia Uniform Law Review, Vol. 5, Issue 3, 2000, 493; *Sapphire v. National Iranian Oil Company* award, March 15, 1963 International Law Review 1967; p. 181; ICC Case No.: 4972, 1989, Jarvin/Derains/Arnaldez, eds., Collection of ICC Arbitral Awards, 1994, 380-383; ICC Case No.: 5485 1987 Yearbook Commercial Arbitration XIV, 1989, 156 - 168.

⁷⁹ ICC Case No.: 8873 July, 1997, ხელმისაწვდომია: <<http://www.unilex.info/case.cfm?id=641>> [12.07.2019].

⁸⁰ *Tadeusz G. W.*, A Framework for Understanding "Soft Law" McGill Law Journal Vol. 30, 1984, 44.

⁸¹ *Prosper W.*, Toward Relative Normativity in International Law, American Journal of International Law. Vol. 77 n.7, 1983, 413-417.

⁸² *Pawel K.*, Soft Law in International Governance., Adam Mickiewicz University Law Review, 2017, 93-94.

მართალია, ვალდებულების შესრულების გართულების პრინციპი სახელშეკრულებო ვალდებულებების შეცვლის ან შეწყვეტის საშუალებას იძლევა, მაგრამ ეროვნული კანონი, აღნიშნულთან მიმართებით, შესაძლოა მკაცრი⁸³ და ბუნდოვანი იყოს. მსგავსი პრობლემები შესაძლოა თავიდან ავიცილოთ თუ გამოვიყენებთ „რბილ სამართალს“.⁸⁴ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, ე.წ. „რბილი სამართლის“ ნორმებზე მითითებით ან მისი ხელშეკრულებაში ინკორპორირების გზით, სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგება არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა. თუმცა, იმის ვარაუდი, რომ ამ ტიპის ნორმის ხელშეკრულებაში ინკორპორირებით ყველა პრობლემა გადაიჭრება, არასწორია. ასე მაგალითად, შესრულების გართულების ზოგადად აღიარებულ და ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმულირებას გვთავაზობს ICC Hardship Clause (2003).⁸⁵ ნახსენები მუხლის შინაარსის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება უკიდურესად გართულდა და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, მხარეებმა გონივრულ ვადაში უნდა აწარმოონ მოლაპარაკებები ხელშეკრულებების ალტერნატიულ პირობებზე შეთანხმების მიზნით.⁸⁶ ალტერნატიულ პირობებზე შეთანხმებლობის შემთხვევაში, ნახსენები მუხლი დასაშვებად მიიჩნევს ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთან, 2003 წლის “ICC Hardship Clause” არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ადაპტაციას, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგს. მიუხედავად იმისა, რომ ძველ ვერსიაში იგი დაშვებული იყო, 2003 წლის ვერსიაში ხელშეკრულების ადაპტაციის ნაწილი გაუქმდა.⁸⁷ ამრიგად, აღნიშნული ნორმის ხელშეკრულებაში ინკორპორირების შემთხვევაშიც, საკითხი ღია რჩება და მხარეებმა დამატებით უნდა მოაწესრიგონ ხელშეკრულების ადაპტაციის ვალდებულება და პროცედურები.

სრულებით განსხვავებულად არის მოწესრიგებული შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების საკითხი ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში. ნახსენები პრინციპების (6 : 111)-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ ანიჭებს სასამართლოს, შესრულების გართულებისას, ხელშეკრულების შეწყვეტის ან ადაპტაციის უფლებამოსილებას.⁸⁸ ანალოგიურია DCFR-ის მიდგომა შეცვლილი გარემოებების მიმართ. მართალია, მოდელური წესები პირდაპირ არ იყენებს ტერმინ მისადაგებას, თუმცა, იგი ანიჭებს სასამართლოს

⁸³ *Tadeusz G. W.*, A Framework for Understanding "Soft Law" McGill Law Journal Vol. 30, 1984, 43.

⁸⁴ იხ., იქვე.

⁸⁵ *დეტალურად იხ.*, <<https://iccwbo.org/publication/icc-force-majeure-clause-2003icc-hardship-clause-2003/>>[12.07.2019].

⁸⁶ იხ., იქვე.

⁸⁷ *Schwenzer I.*, Force majeure and hardship in international sales contracts, in: Victoria University of Wellington Law Review, Vol. 39, 2008, 723.

⁸⁸ იხ., ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (PECL) Art. 6:111, 1999; Dionysios Flambouras., Comparative Remarks on CISG Article 79 & PECL Articles 6:111, 8:108., 2002; ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/peclcomp79.html>> [12.07.2019].

უფლებამოსილებას, რომ ამ უკანასკნელმა გონივრულად და სამართლიანად შეცვალოს თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობები.⁸⁹ ამგვარი შეცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, სასამართლო უფლებამოსილია შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა.⁹⁰ შესაბამისად, შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულებისას, ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების გონივრული და სამართლიანი შეცვლა სწორედ ხელშეკრულების ადაპტაციას გულისხმობს. ამრიგად, ხელშეკრულებაში „რბილი სამართლის“ დებულების ინპორპორირებისას მხარეებს მოეთხოვებათ დამატებითი სიფრთხილე, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ბუნდოვანება და გაუგებრობა.

შუალედური დასკვნა

შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელი ნორმის ხელშეკრულებაში ინკორპორირებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის ზუსტ ფორმულირებას. ვინაიდან, ყველა შესაძლო გარემოების ხელშეკრულებაში წინასწარ ჩაწერა შეუძლებელია, არ არის მიზანშეწონილი მხარეებმა განსაზღვრონ გარემოებების ამომწურავი ჩამონათვალი. მხარეთა ინტერესების დაცვის მიზნით, უმჯობესია, ხელშეკრულებაში ჩაიწეროს ისეთი ფორმულირება, რომელიც არ ზღუდავს შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ ნების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე, მხარეებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ ან პირიქით გამოირიცხონ ნებისმიერი გარემოება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება. ასევე, მნიშვნელოვანია, ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგების ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრა. აღნიშნული საკითხი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს როგორც, მხარეთა მიერ სახელშეკრულებო დათქმების უშუალოდ შედგენის, ასევე, რომელიმე „რბილი სამართლის“ ნორმების ხელშეკრულებაში ინკორპორირების დროსაც.

4. შესრულების გართულების მოდელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის მიხედვით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ (1980) არის საერთაშორისო აქტი, რომლითაც საქონლის საერთაშორისო გაყიდვის ერთიანი კანონი დამკვიდრდა.⁹¹ კონვენციის თანახმად, ის გამოიყენება საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ, რომელთა მხარეების საქმიანობის ადგილიც კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებშია ან როდესაც

⁸⁹ იხ., Draft Contract Frame Reference (DCFR) Art. III. - 1: 110, 2008.

⁹⁰ იხ., იქვე.

⁹¹ *Honnold J.*, The Sales Convention: Background, Status, Application, 8 J.L. & Com. 1, 1988, 1.

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები მითითებას აკეთებენ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართლის გამოყენებაზე.⁹² მაგალითად, ვენის კონვენცია გამოიყენებოდა ქვანახშირის გაყიდვის ხელშეკრულების მიმართ, რადგან გამყიდველიცა და მყიდველიც კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებიდან იყვნენ, კერძოდ, გამყიდველის საქმიანობის ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო, ხოლო მყიდველისა - ჩეხეთში. ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ხელშეკრულებით არ დაარეგულირეს შესრულების გართულების საკითხი, ამასთან, გამოსაყენებელ მატერიალურ სამართლად აირჩიეს ვენის კონვენცია ან საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებმა მიუთითეს ვენის კონვენციის გამოყენებაზე, შესრულების გართულების საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სწორედ ამ კონვენციის ნორმებით.

4.1. 79-ე მუხლის შინაარსი და გამოყენების სფერო

ვენის კონვენციის 79-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მყიდველის ან გამყიდველისთვის შეცვლილი გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება იმდენად გართულებულია, რომ იგი საკმარისია ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძვლად ჩაითვალოს.⁹³ თუმცა, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი გამოიყენება, უმთავრესად იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება შესრულების არაბრალეულ შეუძლებლობას.⁹⁴ სხვანაირად რომ ვთქვათ, აღნიშნული მუხლი გამოიყენება ფორს-მაჟორული გარემოებების დროს, სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან გათავისუფლებისათვის. მოიცავს თუ არა ვენის კონვენციის 79-ე მუხლი შესრულების გართულებას, საერთაშორისო კერძო სამართალში ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხს წარმოადგენს.⁹⁵ აღსანიშნავია, რომ ვენის კონვენციაში არ არის დამტკიცებული რომელიმე ცალკეული ნორმა, რომელიც არეგულირებს შესრულების გართულებასა და მის სამართლებრივ შედეგებს. ვენის კონვენციის 79-ე მუხლის შინაარსის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან, პირდაპირ თუ ცალსახად არ გამომდინარეობს არეგულირებს თუ არა 79-ე მუხლი შესრულების გართულებას. იურიდიულ დოქტრინაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია დღემდე არ არსებობს.⁹⁶ სამართლის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ

⁹² იხ., გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (1980) კონვენციის მუხლი 1.

⁹³ *Rimke J.*, Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 2000, 209-210.

⁹⁴ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 37.

⁹⁵ *Ferrari F.*, Gillette C., P., Marco T., Steven D.W., The Inappropriate Use of the PICC to Interpret Hardship Claims under the CISG, IHR, Internationales Handelsrecht Vol. 17, 2017, 97.

⁹⁶ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 42-43.

ვენის კონვენციის შედგენის ისტორიის თანახმად, ნორვეგიის წარმომადგენლების მიერ იყო შემოთავაზებული, 79-ე მუხლის ფარგლებში შესრულების გართულების გათვალისწინებაც,⁹⁷ თუმცა, აღნიშნული არ გაიზიარა სხვა ქვეყნების წარმომადგენლების უმრავლესობამ.⁹⁸

ამრიგად, ვენის კონვენციაში არ არის ნახსენები შესრულების გართულება (hardship), თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც ფორს-მაჟორია ნახსენები. აღსანიშნავია, რომ ვენის კონვენციის 79-ე მუხლი იყენებს ტერმინ „დაბრკოლებას“. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი არის ბუნდოვანი, ვინაიდან შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებით შეიძლება დაფუძნდეს როგორც ფორს-მაჟორი, ასევე შესრულების გართულებაც. იმისათვის, რომ დავადგინოთ ითვალისწინებს თუ არა ვენის კონვენციის 79-ე მუხლი შესრულების გართულებასაც, საჭიროა დადგინდეს აკმაყოფილებს თუ არა „დაბრკოლების“ წინაპირობებს შესრულების გართულება.⁹⁹ ვენის კონვენციის 79-ე მუხლის თანახმად, მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამოწვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა და რომ არაგონივრული იყო, როგორც მისი გათვალისწინება, ასევე, მასთან დაკავშირებული შედეგების თავიდან აცილება, ხელშეკრულების დადების დროს.¹⁰⁰ ამრიგად 79-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების თანახმად, (1) სახეზე უნდა იყოს დაბრკოლება, (2) რომელიც მოვალის კონტროლს არ უნდა ექვემდებარებოდეს, (3) მოვალეს არ უნდა შეეძლოს ამ გარემოების გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს, (4) დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელი უნდა იყოს.

4.1.1 შესრულების დაბრკოლება

„ვენის კონვენციის 79-ე (1) მუხლი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად მიიჩნევს ვალდებულების შესრულების მიმართ დაბრკოლების არსებობას, თუმცა უნიდრუას ხელშეკრულებათა პრინციპებისა და ევროპული პრინციპების მსგავსად, არ ადგენს დამაბრკოლებელი გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს.“¹⁰¹ ტერმინი დაბრკოლება ითვალისწინებს ისეთ ობიექტურ გარე ფაქტორებს, რომლებიც

⁹⁷ Zaccaria, E. C., The Effects of the Changed Circumstances in International Commercial Trade International Trade & Business Law Review, Vol 9, 2005, 162.

⁹⁸ Tallon D., in Bianca-Bonell: Commentary on the International Sales Law, Article 79. Giuffrè:Milan, Dott. A Giuffrè Editore, S.p.A., 1987, 592.

⁹⁹ Kofod R., Hardship in International Sales CISG and the UNIDROIT Principles, University of Copenhagen Faculty of Law, Pace Law School Institute of International Commercial Law, (2011) ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kofod.html>> [12.07.2019].

¹⁰⁰ იხ., გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (1980) კონვენციის მუხლი 79 (1).

¹⁰¹ ნ. ჩიტაშვილი, შესრულების გართულებისა და ფორს მაჟორის სამსართლებრივი წინაპირობები, რედ: ლ. ჭანტურია., ი. ბურდული., ბესარიონ ზოიძის 60 საიუბილარო კრებული., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 335.

ხელს უშლის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.¹⁰² ამასთან, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება დაუძლეველი ძალა, ან/და იმგვარი გამონაკლისი შემთხვევა, როგორცაა ფორს-მაჟორი, ეკონომიკური შეუძლებლობა ან გართულება.¹⁰³ კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ განმარტა, რომ ქვეყნის მიერ საქონლის ექსპორტის აკრძალვა გამყიდველისათვის წარმოადგენს „დაბრკოლებას“ ვენის კონვენციის 79-ე მუხლის კონტექსტში.¹⁰⁴ სამწუხაროდ არ არსებობს ბევრი სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სადაც მოსამართლე ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი მსჯელობს და განმარტავს თუ რომელი გარემოება შეიძლება ჩაითვალოს ვენის კონვენციით განმარტებულ დაბრკოლებად. ძირითადად ისინი ცდილობენ დაადგინონ აკმაყოფილებს თუ არა რომელიმე გარემოება დაბრკოლების ვენის კონვენციის 79-ე მუხლით დადგენილ წინაპირობებს. ამასთან, იმ საქმეებში, სადაც შეუსრულებლობის გამომწვევი გარემოება არ დაკვალიფიცირდა, როგორც დაბრკოლება, სასამართლო თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ისევ ხელმძღვანელობდა დაბრკოლების კონვენციით დადგენილი წინაპირობებით და არ მსჯელობდა გარემოების ბუნებაზე.¹⁰⁵

ვენის კონვენციის მრჩეველთა საბჭოს მოსაზრების თანახმად, 79-ე მუხლის გამოყენებისთვის, საკმარისია იმის ჩვენება, რომ შეცვლილი გარემოებით გამოწვეულმა დაბრკოლებამ ხელშეკრულების შესრულება უკიდურესად გაართულა.¹⁰⁶ აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ შესრულების გართულებაზე დაყრდნობით, მოვალე სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან გათავისუფლდეს, აუცილებელია, შეცვლილი გარემოების შედეგად, ხელშეკრულების თავდაპირველი პირობები ფუნდამენტურად შეიცვალოს, იმგვარად, რომ მოვალის ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდეს.¹⁰⁷ ფუნდამენტურია ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ მცირდება ერთი მხარის მიერ მეორე მხარისგან მისაღები მოგება ან იზრდება ხელშეკრულების შესრულებისთვის აუცილებელი ხარჯები.¹⁰⁸ იმისათვის, რომ შეცვლილი გარემოება ფუნდამენტურ ცვლილებად შეფასდეს, საჭიროა, რომ პროცენტული მაჩვენებელი

¹⁰² *Honnold J.*, Uniform Law for International Sales Under the 1980 United Nations Convention; 2d ed. Kluwer Law International, 1991, 427.

¹⁰³ Germany Hamburg Arbitration proceeding (*Chinese goods case*) 21 March (1996) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960321g1.html>> [12.07.2019].

¹⁰⁴ Bulgaria Arbitration Case 56/1995 (*Coal case*), 24 April (1996) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960424bu.html>> [12.07.2019].

¹⁰⁵ Russia Arbitration proceeding 155/1994 (*Metallic sodium case*) 16 March 1995 ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/950316r1.html>> [12.07.2019]; Russia Arbitration proceeding 123/1992 17 October 1995, ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/951017r1.html>> [12.07.2019].

¹⁰⁶ CISG Advisory Council Opinion No. 7., Exemption of Liability for Damages Under Article 79 of the CISG, ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/vekas.html>> [12.07.2019].

¹⁰⁷ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, 117.

¹⁰⁸ იბ., იქვე გვ. 431-432.

ორმოცდაათზე მეტი იყოს.¹⁰⁹ ამრიგად, ორმოცდაათ პროცენტთან მაჩვენებელზე ნაკლები ცვლილება ვერ ჩაითვლება ფუნდამენტურ ცვლილებად და შესაბამისად, შესრულების გართულებად ვერ იქნება აღიარებული.¹¹⁰

უფრო მეტიც, არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ორმოცდაათ პროცენტთან ცვლილებას აღიარებს უკიდურესად.¹¹¹ ამასთან, იურიდიულ დოქტრინაში არსებული მოსაზრების თანახმად, ას პროცენტთან მაჩვენებელზე ნაკლები ცვლილება არ უნდა ჩაითვალოს დაბრკოლებად.¹¹² თუმცა, აღნიშნული მიდგომა ზედმეტად ხისტია, უმჯობესი იქნება თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა გარემოების შეფასების შედეგად დადგინდება ის ზღვრული პროცენტული მაჩვენებელი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, ცვლილება უკიდურესად ჩაითვლება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მარტოოდენ, მოვალის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება არ უნდა ჩაითვალოს უკიდურეს ცვლილებად და შესრულების გართულებად, ვინაიდან, კომერციულ ურთიერთობებში, მხარის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება მისი რისკია და იგი არ წარმოადგენს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.¹¹³ ამასთან, მოვალემ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს სახელშეკრულებო ურთიერთობა და ბიზნესის წარუმატებლობის ალბათობა.¹¹⁴ თუმცა, არასამართლიანია ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნა იმ პირობებში, როდესაც შეცვლილი გარემოებები უკიდურესად გაუარესებს მოვალის ფინანსურ მდგომარეობას¹¹⁵ და საფრთხეს უქმნის მის ბიზნესს ან დამოუკიდებელ არსებობას.¹¹⁶ ყველა გარემოებების გათვალისწინებით, ორმოცდაათი და ას პროცენტთან ცვლილება უნდა ჩაითვალოს უკიდურეს გაუარესებად.¹¹⁷ ამასთან, აღსანიშნავია, ისიც, რომ მხარეებს თავად შეუძლიათ, ზემოაღნიშნულ პროცენტულ

¹⁰⁹ *De Silveira, A.*, Trade Sanctions and International Sales: An Inquiry into International Arbitration and Commercial Litigation, Kluwer Law International, 2014, 326.

¹¹⁰ *Mckendrick E.*, Hardship, Articles 6.2.1.-6.2.3. In: Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC). Vogenauer, S.; Kleinheisterkamp, J. (eds.). Oxford: Oxford University Press, 2009, 719.

¹¹¹ *Houtte van, H.*, The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts and International Commercial Arbitration: Their Reciprocal Relevance. In: The UNIDROIT Principles for International Commercial Contracts: A New Lex Mercatoria? ICC Publication No. 490/1. Paris: International Chamber of Commerce, 1995, 190; *Zacaria, E. C.*, The Effects of Changed Circumstances in International Commercial Trade. International Trade & Business Law Review, 2005, 169.

¹¹² *Enderlein F.*, Maskow D., INTERNATIONAL SALES LAW United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods., Oceana Publications, 1992, 324.

¹¹³ *Tallon D.*, in Bianca-Bonell: Commentary on the International Sales Law, Article 79. Giuffrè:Milan, Dott. A Giuffrè Editore, S.p.A., 1987, 582.

¹¹⁴ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, 170.

¹¹⁵ *De Silveira, A.*, Trade Sanctions and International Sales: An Inquiry into International Arbitration and Commercial Litigation, Kluwer Law International, 2014, 336.

¹¹⁶ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, 436-437.

¹¹⁷ *Girsberger D.*, Zapolskis P., Fundamental Alteration of the Contractual Equilibrium Under Hardship Exemption 19(1) Jurisprudence, 2012, 127.

მაჩვენებელზე უფრო დაბალი მაჩვენებლის განსაზღვრა.¹¹⁸ შესაბამისად, ნების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე დაყრდნობით, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებით იმ გარემოებების წინასწარ გათვალისწინება, რომლებიც ჩაითვლება შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად, ხელშეკრულების ფუნდამენტურ ცვლილებად ან უკიდურეს გაუარესებად.

4.1.2 დაბრკოლების არსებობა მხარის კონტროლს მიღმა

შესრულების გართულება, რომელიც გამოწვეულია წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებით, უნდა იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეების კონტროლის მიღმა.¹¹⁹ თუმცა, ის, რომ შესრულების გართულების დამაბრკოლებელი გარემოება არ არის გამოწვეული მხარეთა ბრალით, არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული გარემოება მათი კონტროლის მიღმა იყო. შესაბამისად, მოვალე ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან მხოლოდ იმის გამო, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა მისი ბრალით არ მომხდარა. მოვალეს პასუხისმგებლობა გამოირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაამტკიცებს, რომ შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებები არ იყო მისი კონტროლის ქვეშ.¹²⁰ ასეთ გარემოებად კი ითვლება პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, ექსპორტისა და იმპორტის ტარიფების გაზრდა, ვალუტის გაუფასურება¹²¹ და ა.შ.

ერთ-ერთ საქმეზე, გამყიდველი გათავისუფლდა შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან იმ საფუძველით, რომ მყიდველის ქვეყნის შესაბამისი ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ საქონლის სერტიფიცირებას და აღნიშნული არ ექვემდებარებოდა გამყიდველის კონტროლს.¹²² კიდევ ერთ საქმეზე, ტრიბუნალმა გადაწყვიტა, რომ გამყიდველის მიერ მისაწოდებელი ქვანახშირის ექსპორტის აკრძალვა წარმოადგენდა მისი კონტროლის მიღმა გარემოებას და შესაბამისად გამყიდველი უნდა გათავისუფლებულიყო სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან.¹²³

საკამათოა ის, თუ რამდენად შესაძლებელია მესამე პირის მიერ, მასზე დაკისრებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაითვალოს ძირითადი მოვალის კონტროლის მიღმა გარემოებად. ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ

¹¹⁸ *Perillo J. M.*, *Hardship and its Impact on Contractual Obligations: A Comparative Analysis.*, Saggi, Conferenze e Seminari 20, Roma, April, 1996, 129.

¹¹⁹ *Tallon D.*, in *Bianca-Bonelli: Commentary on the International Sales Law, Article 79.* Giuffrè: Milan, Dott. A Giuffrè Editore, S.p.A., 1987, 579.

¹²⁰ *Schlechtriem P.*, *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 2nd. Edition, Clarendon Press, Oxford, 1998, 822-826.

¹²¹ *Schlechtriem P., Schwenzer I.*, *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3rd Edition., Oxford University Press, 2010, 1073.

¹²² *Russia Arbitration proceeding 155/1996*, 22 January (1997) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/970122r1.html>> [12.07.2019].

¹²³ *Bulgaria Arbitration Case 56/1995 (Coal case)*, 24 April (1996) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960424bu.html>> [12.07.2019].

დაადგინა, რომ მესამე პირის მიერ წარმოებულ საქონელში წუნის არსებობის ფაქტი, საკმარისია მოვალის კონტროლის მიღმა კრიტერიუმად ჩაითვალოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოვალე ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.¹²⁴ კიდევ ერთ საქმეში, სადაც მესამე პირმა ფინანსური სირთულეების გამო ვერ განახორციელა საქონლის წარმოება, ხსენებული სასამართლომ არ ჩათვალა კონტროლის მიღმა გარემოებად და განმარტა, რომ გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს თავისი ფინანსური უნარი და აღნიშნულის ფარგლებში შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები წინასწარ გაუთვალისწინებელ პირობებშიც. ეს წესი ასევე ვრცელდება მისი მომწოდებლის ფინანსურ უნარზე.¹²⁵ შესაბამისად, მესამე პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის მოვალის კონტროლის მიღმა გარემოებად ჩათვლისთვის აუცილებელია, მოვალის მხრიდან შეუსრულებლობის ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერების ხარისხის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების მოვალის კონტროლის მიღმა არსებობისა, თუ მხარეები ხელშეკრულებით პირდაპირ შეთანხმდნენ ან იგულისხმეს ის, რომ ამ გარემოების წარმოშობის რისკი ეკისრება მოვალეს¹²⁶, აღნიშნული ვერ ჩაითვლება შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად და ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნის საფუძვლად. ამასთან, მოვალის კონტროლის მიღმა შეცვლილი გარემოება, რომელიც აბრკოლებს ვალდებულების შესრულებას არ უნდა იყოს მხარეებისთვის წინასწარ სავარაუდო, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გარემოებით გამოწვეული ზიანის რისკი ეკისრება მოვალეს.¹²⁷ ამრიგად, ეს ორი წინაპირობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.¹²⁸

4.1.3 დაბრკოლების წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა

საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში, მოვლენის წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის საკითხის გადაწყვეტისას, აუცილებელია ე.წ. „გონიერი ბიზნესმენის (reasonable businessman)“ კრიტერიუმით ხელმძღვანელობა.¹²⁹ იმ შემთხვევაში თუ, მოვალისგან გონივრულად მოსალოდნელი იყო შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების წინასწარ გათვალისწინება, იმ მიზეზით, რომ იგი გამოცდილი და პატივსაცემი ბიზნესმენია, მაშინ შეცვლილი გარემოებით გამოწვეული

¹²⁴ France District Court Besançon (*Flippe Christian v. Douet Sport Collections*), 19 January (1998) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/980119f1.html>> [12.07.2019].

¹²⁵ Germany Hamburg Arbitration proceeding (*Chinese goods case*) 21 March (1996) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960321g1.html>> [12.07.2019].

¹²⁶ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 109-111.

¹²⁷ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 109-111.

¹²⁸ *იხ.*, იქვე.

¹²⁹ *Tallon D.*, in Bianca-Bonell: Commentary on the International Sales Law, Article 79. Giuffrè:Milan, Dott. A Giuffrè Editore, S.p.A., 1987, 580.

ზიანი ეკისრება მოვალეს.¹³⁰ იმის დადგენისთვის, თუ რამდენად შეეძლო „გონიერ ბიზნესმენს“ გარემოებების წინასწარ გათვალისწინება, გამოიყენება ანალოგიურ პირობებში მყოფი, სადად მოაზროვნე მესამე პირის კრიტერიუმი.¹³¹ თუ იმავე სფეროში მოღვაწე ბიზნესმენს შეეძლო გარემოებების წინასწარ გათვალისწინება ან გათვალისწინა კიდევაც, ივარაუდება, რომ ყველა „გონიერი ბიზნესმენისგან“ მოსალოდნელი იყო შესრულების დამაბრკოლებელი რომელიმე კონკრეტული გარემოების წინასწარ გათვალისწინება.

ამრიგად, შესრულების გართულებად ვერ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს, ხელშეკრულების მხარეებს, თავიანთი ბიზნესების სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზის გზით, შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების წინასწარ გათვალისწინება შეეძლოთ.¹³² უფრო მეტიც, წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის კრიტერიუმი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მხარეთა სახელშეკრულებო რისკების განაწილებისას. ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების წინასწარ გათვალისწინების კრიტერიუმის საფუძველზე განისაზღვრება ის, თუ ვის ეკისრება შესრულების გართულების რისკი.¹³³

წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის დამტკიცების შემთხვევაში, მოვალეს შეუძლია მოითხოვოს ან ხელშეკრულების ადაპტაცია ან ხელშეკრულების შეწყვეტა.¹³⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მოვალეს.¹³⁵ შესაბამისად, შესრულების გართულების გამომწვევი გარემოებების წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის მტკიცების ტვირთი სწორედ მოვალეზეა, რომლის ფინანსური მდგომარეობაც უკიდურესად გაუარესდა შეცვლილი გარემოებების გამო.¹³⁶ თავისთავად, კრედიტორს ეკისრება იმის მტკიცება, რომ მოვალეს შეეძლო და გონივრულად ევალუბოდა კიდევ შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების წინასწარ განსაზღვრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში, წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის კრიტერიუმის მიმართ განსხვავებული მიდგომა არსებობს. თავისი ბუნებითა და ხასიათით გრძელვადიანი სახელშეკრულებო

¹³⁰ *Kofod R.*, *Hardship in International Sales CISG and the UNIDROIT Principles*, University of Copenhagen Faculty of Law, Pace Law School Institute of International Commercial Law, (2011) ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kofod.html>> [12.07.2019].

¹³¹ *Miettinen J.*, *Interpreting CISG Art. 79(1): Economic Impediment and the reasonability requirement Interpreting CISG*, University of Lapland, 2015, 10.

¹³² *Burton S.J.*, *Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code*, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 157.

¹³³ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 125.

¹³⁴ *Chengwei L.*, *Changed Contract Circumstances.*, 2nd edition: Case annotated update (April 2005) ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu12.html>> [12.07.2019].

¹³⁵ იქ., იქვე

¹³⁶ CISG Advisory Council Opinion No. 7., *Exemption of Liability for Damages Under Article 79 of the CISG*, ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/vekas.html>> [12.07.2019].

ურთიერთობები, შეცვლილი გარემოებების მიმართ უფრო დაუცველები არიან, ვიდრე მოკლევადიანი ან ერთჯერადი ურთიერთობები.¹³⁷ შესაბამისად, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეები მოკლებულნი არიან უნარს, წინასწარ გასაზღვრონ ყველა გარემოება. აღნიშნულის წინასწარ გათვალისწინება მათ არც ევალებათ.¹³⁸ როდესაც მხარეები შედიან ოცდაათ წლიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ისედაც მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულების დადებიდან ოცდაათი წლის მანძილზე გარემოებები შეიცვლება. გრძელვადიან ურთიერთობებში უპირატესობა ენიჭება არა მოვლენის წინასწარ გათვალისწინების შესაძლებლობას, არამედ მის შედეგებს.

4.1.4 დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილების შეუძლებლობა

ვენის კონვენციის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გათავისუფლების წინაპირობების დაკმაყოფილებისათვის, მოვალესთვის დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება რეალურად შეუძლებელი უნდა იყოს. ამასთან არც გონივრულად უნდა იყოს მოსალოდნელი, რომ მოვალე დაბრკოლებას ან მის შედეგებს თავიდან აიცილებს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ შეცვლილი და გაუთვალისწინებელი გარემოება, რომელიც უკიდურესად ართულებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, ვერ ჩაითვლება დაბრკოლებად.¹³⁹ მოვალე მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდება ვალდებულებისგან, თუ დაამტკიცებს, რომ მას არ შეეძლო დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება.¹⁴⁰ საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიდგომა, თავიდან აცილებისა და წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის დადგენისთვის, იდენტურია. სხვადასხვა საქმეებში, ტრიბუნალებმა უმეტესად გამოიყენეს „გონიერი ბიზნესმენის“, ანუ სადად მოაზროვნე მესამე პირის ტესტი.¹⁴¹ ამრიგად, რამდენად შეეძლო მხარეს უშუალოდ დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, დგინდება იმის მიხედვით, აცილა თუ არა დაბრკოლება ან მისი შედეგები ან შეეძლო თუ არა ანალოგიურ პირობებში მყოფ, იმავე სფეროში მოღვაწე ბიზნესმენს ხსენებულის განხორციელება.

ხშირ შემთხვევაში, უშუალოდ დაბრკოლების თავიდან აცილება მოვალისთვის შეუძლებელია. მაგალითად, მოვალე მოკლებულია უნარს თავიდან ააცილოს ისეთი

¹³⁷ Ferrario, P., The Adaptation of Long-Term Gas Sale Agreements by Arbitrators, Kluwer Law International, 2017, 71-72.

¹³⁸ იხ., იქვე

¹³⁹ Honnold J., Uniform Law for International Sales Under the 1980 United Nations Convention; 2d ed. Kluwer Law International, 1991, 543.

¹⁴⁰ Dionysios P. F., The Doctrines of Impossibility of Performance and *clausula rebus sic stantibus* in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis., 13 Pace International Law Review, 2001, 272.

¹⁴¹ იხ., American Arbitration Association 23 October 2007 (Macromex Srl. v. Globex International Inc.) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/071023a5.html>> [12.07.2019]; ასევე იხ., United States 20 August 2008 Federal District Court [New York] (Hilaturas Miel, S.L. v. Republic of Iraq) ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/080820u1.html>> [12.07.2019].

დაბრკოლება, როგორცაა ვალუტის დევილაცია, ეკონომიკური კრიზისი, საქონლის საბაზრო ღირებულების გაზრდა და ა.შ. თუმცა, დაბრკოლების შედეგების თავიდან აცილება, შესაბამისი გულისხმიერების დროს, შედარებით უფრო განხორციელებადია. მაგალითად, თუ მხარესათვის ცნობილი გახდა, რომ ერთ თვეში ძალაში შევა ახალი კანონი, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს კონკრეტული საქონლის გაყიდვას, ამ კანონის ძალაში შესვლამდე საქონლის მიწოდებით მოვალეს შეუძლია დაბრკოლების შედეგების თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, დაბრკოლების თავიდან აცილების შეუძლებლობის დადგენისას, მნიშვნელოვანია უშუალოდ მოვალის კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების დადგენა.

4.2 შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგები ვენის კონვენციის შესაბამისად

როგორც უკვე აღინიშნა, ვალდებულების შესრულების გართულება ითვალისწინებს როგორც ხელშეკრულების შეწყვეტას, ასევე მის ადაპტაციას. თუმცა, კონტინენტური სამართლის ოჯახის მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაშია ხელშეკრულების ადაპტაცია ვალდებულების შესრულების სამართლებრივ შედეგად გათვალისწინებული.¹⁴² საერთო სასამართლოების ქვეყნებს კი ხელშეკრულების ადაპტაციის მიმართ შედარებით უფრო მკაცრი მიდგომა აქვთ.¹⁴³ ვენის კონვენცია სამართლებრივ სისტემებსა და სავაჭრო ტრადიციებს შორის კომპრომისს წარმოადგენს. შესაბამისად, მისი ინტერპრეტირებისას, აუცილებელია, მისი საერთაშორისო ხასიათის გათვალისწინება. ვენის კონვენციის 79-ე მუხლში გამოყენებული ფორმულირების თანახმად, „მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო“. კონვენციის საერთაშორისო ხასიათის გათვალისწინებით, ამ სიტყვების ინტერპრეტირებისას, ერთადერთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც 79-ე მუხლის ქვეშ შესაძლებელია დადგეს, არის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და არა ხელშეკრულების ადაპტაცია.¹⁴⁴ პროფესორი ტალონის სიტყვების თანახმად, ხელშეკრულების ადაპტაციის ან სხვა სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება, ვენის კონვენციით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული და ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა განიხილებოდეს ერთადერთ

¹⁴² DiMatteo. L. A., Excuse: Impossibility and Hardship in Larry A. DiMatteo / André Janssen / Ulrich Magnus / Reiner Schulze International Sales Law, Contract, Principles & Practice Nomos, C. H. Beck Verlag, Hart Publishing, 2016, 693; Walt. S. D., Sales Law: Domestic and International 2nd Edition Foundation Press, 2016, 571.

¹⁴³ Horn. N., Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and in International Law Adaptation and Renegotiation in International Trade and Finance., Kluwer Law International, 1985, 22; Flechtner. H., The Exemption Provisions of the Sales Convention, Including Comments on “Hardship” Doctrine and the 19 June 2009 Decision of the Belgian Cassation Court in Legal Studies Research Paper Series – University of Pittsburgh, 2011, 7.

¹⁴⁴ Guide to CISG Article 79: Secretariat Commentary., ხელმისაწვდომია: <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html>> [12.07.2019].

სამართლებრივ შედეგად.¹⁴⁵ იგივე პოზიციას იზიარებს სასამართლო და საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებიც.¹⁴⁶ ამრიგად, ვენის კონვენციის 79-ე მუხლის ფორმულირების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ 79-ე მუხლი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ადაპტაციას, როგორც მის ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგს. აქედან გამომდინარე, თუ მხარეები აირჩევენ ვენის კონვენციას, როგორც გამოსაყენებელ სამართალს, სასურველია, მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ 79-ე მუხლსა და მის შედეგებს. ვინაიდან, სხვადასხვა სასამართლებრივ სისტემებში და სახელმწიფოებში არსებობს აღნიშნული მუხლის განსხვავებული ინტერპრეტირების რისკი.

5. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებული შესრულების გართულების მოდელი

მე-20 საუკუნის ბოლოსათვის, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების მოგვარების უნიფიცირებული მექანიზმის განვითარება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა. შესაბამისად, 1980 წელს სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა სახელმწიფოების უნივერსიტეტებში მოღვაწე პროფესორებისა და წამყვანი სპეციალისტებისგან. აღნიშნული ჯგუფის მიზანი იყო შეედარებინა და შეესწავლა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში არსებული სავაჭრო და სახელშეკრულებო პრინციპები. ნახსენები ჯგუფის მუშაობის შედეგად, 1994 წელს შემუშავდა უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები. ეს უკანასკნელი, გამოქვეყნების შემდეგ ითვლებოდა „რბილ სამართლად“, შესაბამისად, იგი სასამართლოებისთვის არ ატარებდა რაიმე სავალდებულო ძალასა და სერიოზულ ხასიათს.¹⁴⁷ თუმცა, დროთა განმავლობაში, აღნიშნულმა პრინციპებმა დაამტკიცეს, რომ ისინი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ეფექტურ სამართლებრივ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.¹⁴⁸ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები უმეტეს სამართლებრივ სისტემებში არსებულ ყველაზე ეფექტურ სახელშეკრულებო პრინციპების ერთობლიობად გვევლინება. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ვალდებულების შესრულების გართულების პრინციპი. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები ვალდებულების შესრულების საკითხს საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავენ, კერძოდ, მეორე სექციის (6.2.1), (6.2.2) და (6.2.3) მუხლები არეგულირებენ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების გართულების გამო მხარეთა შორის არსებულ დისბალანსს.

¹⁴⁵ Tallon D., in Bianca-Bonell: Commentary on the International Sales Law, Article 79. Giuffrè:Milan, Dott. A Giuffrè Editore, S.p.A., 1987, 572-595.

¹⁴⁶ Schlechtriem, P. Commentary on Federal Supreme Court (Bundesgerichtshof), Civil Panel VII, Index No. VIII ZR 121/98, (1999), ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/990324g1.html>> [12.07.2019].

¹⁴⁷ Zeller, B., The Unidroit Principles of Contract Law; Is There Room for Their Inclusion into Domestic Contracts?. Journal of Law and Commerce, 2008, 115.

¹⁴⁸ იბ., იქვე.

5.1. შესრულების გართულების „ნორმატიული“ განმარტება (6.2.1) მუხლის თანახმად

უნიდრუას ვალდებულების შესრულების გართულების საკითხის მარეგულირებელი ნორმები იწყება 6.2.1 მუხლით, რომელიც ხაზგასმით აღიარებს *pacta sunt servanda*-ს პრინციპს.¹⁴⁹ კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი მხარისთვის უფრო რთული ხდება, იგი მაინც ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები. ამრიგად, მხარე, მხოლოდ იმის გამო, რომ ხელშეკრულება მისთვის ფინანსურად წამგებიანი გახდა, ვალდებულების შესრულებისგან არ თავისუფლდება.¹⁵⁰ პირიქით, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება უნდა გაგრძელდეს მიუხედავად ბაზარზე არსებული ცვლილებით გამოწვეული გართულებისა. ამ მუხლის მიზნებისა და სიტყვასიტყვითი განმარტებიდან, ნათელია, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარე მოსალოდნელი მოგების ნაცვლად, დანაკარგს განიცდის, იგი მაინც ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები.¹⁵¹ თუმცა, აღნიშნული მუხლი ისე არ უნდა განიმარტოს, თითქოსდა, იგი *pacta sunt servanda*-ს პრინციპიდან გამონაკლისს არ ითვალისწინებს.¹⁵² ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპიდან გამონაკლისი (6.2.1-6.2.3) მუხლებში აღიარებულია სწორედ ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფციის შემუშავებით.¹⁵³

ვალდებულების შესრულების გართულების დეფინიცია საკმაოდ კომპლექსურად არის მოცემული უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2 მუხლში, კერძოდ, იგი მოიცავს არა მხოლოდ დეფინიციას, არამედ, ასევე განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის პირობებშიც სახეზე იქნება შესრულების გართულება.¹⁵⁴ მუხლის თანახმად, ამ უკანასკნელს იწვევს ისეთი გარემოებები, რომლებიც ფუნდამენტურად ცვლის სახელშეკრულებო თანასწორობასა და რომელიც დაკავშირებულია მხარისათვის შესრულების ღირებულების გაზრდასა ან მიღებული შესრულების ღირებულების შემცირებასთან. მაგალითად, მხარისათვის შესრულების ღირებულება შეიძლება გაიზარდოს, თუ იზრდება ნედლეულის ფასი, შრომის ან

¹⁴⁹ *Schlechtriem. P.*, Termination and Adjustment of Contracts, Under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, European Journal of Law REFORM, 1999, 304-314; ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem11.html>> [12.07.2019].

¹⁵⁰ *Lando O.*, The CISG and the UNIDROIT Principles in a Global Commercial Code. In *Melanges offerts a Marcel Fontaine*, White Plains, NY: Longman. 2003, 455-465.

¹⁵¹ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.1. მუხლის ოფიციალური კომენტარები; ხელმისაწვდომის <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1059-article-6-2-1-contract-to-be-observed>> [12.07.2019].

¹⁵² იხ., იქვე.

¹⁵³ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებაზე და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 46.

¹⁵⁴ *Perillo J. M.*, Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamerican, 1998),126-127.

ტრანსპორტის ღირებულება.¹⁵⁵ ამასთან, 6.2.2. მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ გარემოება შესრულების გართულებად ჩაითვალოს უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: (ა) შეცვლილი გარემოებები უნდა აღმოცენდეს ან მხარისათვის გახდეს ცნობილი ხელშეკრულების დადების შემდეგ; (ბ) გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულების დადების ეტაპზე გათვალისწინება; (გ) გარემოებები უნდა არსებობდეს მხარის კონტროლის სფეროს მიღმა; (დ) მხარეს არ უნდა ჰქონდეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.¹⁵⁶

5.2. სამართლებრივი წინაპირობები ვენის კონვენციასთან შედარების კრილში

ვენის კონვენციისგან განსხვავებით, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები ვალდებულების შესრულების გართულების საკითხს საკმაოდ დეტალურად არეგულირებენ. კონვენციის 79-ე მუხლი ნათლად არ განმარტავს თუ რა იგულისხმება ტერმინ „დაბრკოლებაში“, რის გამოც, დამოკიდებულები ვართ პროფესორების, სასამართლოსა და არბიტრაჟების მიერ ჩამოყალიბებულ განმარტებებზე. ასევე, გარკვეულწილად ბუნდოვანია ვენის კონვენციით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების წინაპირობები. თუმცა, შეიძლება ცალსახად ითქვას, ის რომ ვენის კონვენციის 79-ე მუხლისგან განსხვავებით, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2 მუხლში მოცემული დეფინიცია და წინაპირობები მსგავს კითხვებს არ იწვევს.

5.2.1 ვენის კონვენციასთან მსგავსი წინაპირობები

ვალდებულების შესრულების გართულების უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებული წინაპირობები საკმაოდ ჰგავს ვენის კონვენციით რეგულირებულ წინაპირობებს. ორივე შემთხვევაში, გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს შეცვლილი გარემოებების წინასწარ გათვალისწინება. ასევე, შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებები უნდა არსებობდეს მხარის კონტროლის სფეროს მიღმა. თუმცა, ამ მსგავსებების მიუხედავად, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები ვალდებულების შესრულების გართულების უფრო დეტალურ და დახვეწილ კონცეფციას გვთავაზობენ. როგორც უკვე აღინიშნა, ვენის კონვენციისგან განსხვავებით, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები ვალდებულების შესრულების საკითხის მოწესრიგებას უთმობს 3 მუხლს, კერძოდ 6.2.1, 6.2.2 და 6.2.3.¹⁵⁷ ამრიგად, საერთაშორისო

¹⁵⁵ *McKendrick, E.*, Comment to Performance: Arts 6.2.1 - 6.2.3 – Hardship, in *Commentary On The UNIDROIT Principles Of International Commercial Contracts*, 2009, 711-717.

¹⁵⁶ იხ., უნიდრუას საერთაშორისო სავაჭრო პრინციპები მუხლი 6.2.2; განხილულია სადოქტორო ნაშრომში: (გადათარგმნილი) ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 44-45.

¹⁵⁷ *Rimke J.*, Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods*, Kluwer, 2000, 238.

სამართლის ამ ორი ინსტრუმენტის შედარებითი ანალიზისათვის, მნიშვნელოვანია, არა მათი მსგავსებების, არამედ განსხვავებული წინაპირობების განხილვა.

5.2.2 ვენის კონვენციისგან განსხვავებული წინაპირობები

ვენის კონვენციისა და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ვალდებულების შესრულების გართულების წინაპირობებს შორის, უპირველეს განსხვავებას წარმოადგენს გართულების ხარისხის დასადგენად გამოყენებული ტერმინოლოგია. ვენის კონვენცია იყენებს ტერმინს - „უკიდურესი გართულება“, ხოლო, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები - „ფუნდამენტურ ცვლილებას. როგორც ვენის კონვენციის, ასევე უნიდრუას პრინციპების თანახმად, ჩვეულებრივი ცვლილება, რომელიც უბრალოდ ართულებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, არ შეიძლება ჩაითვალოს შესრულების გართულებად. თუმცა, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებში შემოღებულია ფუნდამენტური ცვლილებების სტანდარტი.¹⁵⁸ ის, თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს აღნიშნულში, მოცემული იყო 1994 წლის უნიდრუას კომენტარებში, რომლის თანახმადაც, შესრულების ღირებულების ან ფასის ორმოცდაათი პროცენტით ან მეტით ცვლილება წარმოადგენდა სახელშეკრულებო ურთიერთობის თანასწორობის ფუნდამენტურ ცვლილებას.¹⁵⁹ თუმცა, კომენტარების მომდევნო ვერსიაში ზუსტი ციფრები და პროცენტული მაჩვენებლები ამოღებულია.¹⁶⁰ აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტზე, რომ ცვლილების ხარისხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს¹⁶¹, გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად ჩამოყალიბებული პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე მიღებულისგან განსხვავებით, საქმის ყოველი გარემოების დაწვრილებითი ანალიზის გზით, როგორცაა მხარეთა შორის სახელშეკრულებო რისკების განაწილება, მხარეების ფინანსური მდგომარეობა და ა.შ., უფრო სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღება. ყოველ შემთხვევაში, ხელშეკრულების ფუნდამენტური ცვლილება გულისხმობს, რომ ნორმალური ეკონომიკური რისკები არ შეიძლება ჩაითვალოს შესრულების გართულებად,¹⁶² განსხვავებით, გამონაკლისი ეკონომიკური ცვლილებებისგან, რომლებიც სცილდება ბიზნესის ჩვეულებრივი

¹⁵⁸ *Frederick R. F.*, *Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance*, Thelen Reid & Priest LLP, American Bar Association Section of International Law Spring Meeting, 2006; ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html#i>> [12.07.2019].

¹⁵⁹ იხ., იქვე, ასევე ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 47.

¹⁶⁰ იხ., უნიდრუას უფიციალური პომენტარი, მუხლი 6.2.2, ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1058-article-6-2-2-definition-of-hardship>> [12.07.2019].

¹⁶¹ *Brunner C.*, *Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International B.V., 2008, 426.

¹⁶² *Roesler, H.*, *Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law*, *European Review of Private Law*, 2007, 485.

განვითარების ფარგლებს.¹⁶³ ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ მხარისათვის შესრულების ღირებულების გაზრდა ან შემცირება ორმოცდაათ პროცენტზე ნაკლებია, მაშინ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ცვლილება არ ჩაითვლება ფუნდამენტურად და 6.2.2 კონტექსტში არ დაკვალიფიცირდება შესრულების გართულებად.¹⁶⁴ აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე სასამართლო და საარბიტრაჟო ტრიბუნალების პრაქტიკაში. ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა საწვავის ნასყიდობის ხელშეკრულებას,¹⁶⁵ გამყიდველი საწვავის საბაზრო ღირებულების ცვლილებების გამო ითხოვდა ხელშეკრულების მისადაგებას. ცვლილება მერყეობდა ოცდახუთი-ორმოცდაათი პროცენტის ფარგლებში. ამასთან, გამყიდველი ვერ ასაბუთებდა იმას, რომ საწვავის ღირებულების ცვლილება იყო ფუნდამენტური და უკიდურესად ართულებდა მასზე დაკისრებულ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ფუნდამენტური ცვლილების დროს, ცვლილება არ უნდა იყოს ორმოცდაათ პროცენტთან მაჩვენებელზე ნაკლები და ამასთან, მხარემ უნდა ამტკიცოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების გართულების ფაქტი. მეორე მხრივ, თუ პროცენტული მაჩვენებელი ორმოცდაათს აღემატება, ხელშეკრულების ფუნდამენტური ცვლილების კრიტერიუმი მიღწეულად ითვლება¹⁶⁶ და მტკიცების ტვირთიც შედარებით მარტივდება. ამასთან, საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში, სადაც ხელშეკრულების ღირებულება საკმაოდ მაღალია და ნებისმიერმა მცირე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს დიდი დანაკარგი, ორმოცდაათ პროცენტთან მაჩვენებელი გონივრულ ბარიერად ითვლება.¹⁶⁷

ვალდებულების შესრულების გართულების ვენის კონვენციისა და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების წინაპირობებს შორის შემდეგი განსხვავება არის ის, რომ 6.2.2 მუხლის თანახმად, მხარეს არ უნდა ჰქონდეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების თანახმად, ვალდებულების შესრულების გართულება სახეზე არ არის თუ აღნიშნული სახელშეკრულებო რისკი მოვალეზე იყო განაწილებული. რისკის განაწილება კი, შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ ან ნაგულისხმევად.¹⁶⁸ უნიდრუას

¹⁶³ *Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private law publication series B:55, 2001, para 2.4.

¹⁶⁴ *Maskow, D.*, Hardship and Force Majeure, American Journal of Comparative Law, 1992, 662.

¹⁶⁵ ICC Award in Case No. 2508 (1976) reported in 104 Journal du Droit International, No. 4 (Octobre-Novembre-December 1977) ნახსებებია: Frederick R. F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, Thelen Reid & Priest LLP, American Bar Association Section of International Law Spring Meeting, 2006; ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html#i>> [12.07.2019].

¹⁶⁶ *McKendrick. E.*, Comment to Performance: Arts 6.2.1 - 6.2.3 – Hardship, in Commentary On The UNIDROIT Principles Of International Commercial Contracts, 2009, 719.

¹⁶⁷ *Doudko, A. G.*, Hardship in Contract: The Approach of the UNIDROIT Principles and Legal Developments in Russia, Uniform Law Review, 2003, 496.

¹⁶⁸ *Maskow, D.*, Hardship and Force Majeure, American Journal of Comparative Law, 1992, 663.

სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2-ე მუხლის ოფიციალური კომენტარების თანახმად, რისკის განაწილებისთვის პირდაპირი და ცალსახა დათქმის არსებობა აუცილებელი არ არის, აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს თვით სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნებიდან.¹⁶⁹ მაგალითად, საფონდო ბირჟაზე აქციების გაყიდვის¹⁷⁰ ან სადაზღვევო ხელშეკრულებებში¹⁷¹, რომლებიც შემთხვევითი ბუნების მქონე ხელშეკრულებების კატეგორიაში შედიან (დამოკიდებული წარმატებაზე ან წინასწარ გაუთვალისწინებელ გარემოებებზე) მოვალე არ გათავისუფლდება ვალდებულების შესრულებისგან, მაშინაც კი, როდესაც წინასწარ გაუთვალისწინებელმა ფუნდამენტურმა ცვლილებამ გაართულა ვალდებულების შესრულება.¹⁷² ამასთან, მხარეებს ასევე შეუძლიათ, ხელშეკრულებით განსაზღვრონ, გარკვეული მოსალოდნელი ან სავარაუდო მოვლენის წარმოშობის შემთხვევაში ვინ იქნება აღნიშნული რისკის მატარებელი. მაგალითად, გადაზიდვისა და მიწოდების ფორმა - DDP (Delivery Duty Paid) ინკოტერმი გადაზიდვასა და საბაჟო საკითხებთან დაკავშირებულ ყველა რისკს აკისრებს მოვალეს.¹⁷³ მსგავს შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ვერ მოითხოვს ვალდებულებისგან გათავისუფლებას, იმ მიზეზით, რომ საბაჟო ტარიფები უკიდურესად გაიზარდა.¹⁷⁴ ამრიგად, იმისთვის, რომ კონკრეტული დაბრკოლება ჩაითვალოს შესრულების გართულებად, აღნიშნულის რისკი არ უნდა იყოს ხელშეკრულებით მხარეებს შორის განაწილებული.

5.3 სამართლებრივი შედეგები

ვალდებულების შესრულების გართულების უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები მოცემულია 6.2.3 მუხლში. აღნიშნულის თანახმადაც, შესრულების გართულებისას, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტირების მიზნით, მხარეებს შორის მოლაპარაკების წარმართვა სავალდებულოა.¹⁷⁵ მოვალე უფლებამოსილია მოითხოვოს მოლაპარაკება ადაპტაციის მიზნით და კრედიტორი ვალდებულია დათანხმდეს ხსენებულზე.¹⁷⁶ ამ უკანასკნელის ასეთი მოვალეობა კი გამომდინარეობს უნიდრუას შემდეგი ორი სახელშეკრულებო პრინციპისგან: პირველი, ეს არის 1.7 მუხლით

¹⁶⁹ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარები მუხლი 6.2.2; ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1058-article-6-2-2-definition-of-hardship>> [12.07.2019].

¹⁷⁰ *Perillo, J. M.*, Force Majeure and Hardship Under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Tulane Journal of International and Comparative Law, 1997, 14.

¹⁷¹ *Gordley, J.*, Impossibility and Changed Unforeseen Circumstances, American Journal of Comparative Law, 2004; ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/-cisg/biblio/gordley1.html>> [12.07.2019].

¹⁷² *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, 424-425.

¹⁷³ ICC incoterm 2010, ICC rules for the use of domestic and international trade terms., ICC Publisher., 2011, 69.

¹⁷⁴ *Ramberg, J.*, ICC guide to incoterm 2010, Understanding and practical use, ICC Publisher., 2011, 147-150.

¹⁷⁵ *McKendrick, E.*, Comment to Performance: Arts 6.2.1 - 6.2.3 - Hardship, in Commentary On The UNIDROIT Principles Of International Commercial Contracts, 2009, 722.

¹⁷⁶ იხ., იქვე.

გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც ფუნდამენტური სახელშეკრულებო პრინციპია,¹⁷⁷ მეორე კი - 5.1.3 მუხლით გათვალისწინებული - ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი.¹⁷⁸ მხარეთა ნების ავტონომიაც მხარს უჭერს ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით მოლაპარაკების წარმართვას. უმჯობესია, მხარეებმა თავად შეათანხმონ ალტერნატიული სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც შეესაბამება შეცვლილ გარემოებებს.¹⁷⁹ მოვალის მიერ მოლაპარაკების წარმართვის მოთხოვნა უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა თვით დაბრკოლების ან შესაძლო დაბრკოლების შესახებ. ეს კი განპირობებულია იმით, რომ დაგვიანებამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მოვალის კეთილსინდისიერება და გულისხმიერება, და დაკვალიფიცირდეს როგორ არაკეთილსინდისიერი ქმედება. ამასთან, მან დეტალურად უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის საფუძველზეც ითხოვს ადაპტაციის მიზნით მოლაპარაკების წარმართვას.¹⁸⁰ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ დროს ვალდებულების შესრულების გართულების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ითხოვს მოლაპარაკებების გამართვას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადაპტაციის მიზნით მოლაპარაკების დაწყება არ ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულებისგან და არ ანიჭებს მას უფლებას შეაჩეროს შესრულება მოლაპარაკებების დამთავრებამდე.¹⁸¹ აღსანიშნავია, რომ მოვალეს მოლაპარაკების წარმართვის მოთხოვნა შეუძლია როგორც ხელშეკრულების ადაპტაციის, ასევე მისი შეწყვეტის მიზნით.¹⁸² თუმცა, მიუხედავად მოლაპარაკების წარმართვის სავალდებულობისა, მხარეები არ არიან ვალდებული აუცილებლად მიუსადაგონ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს ან/და შეთანხმდნენ სხვა ალტერნატიულ პირობაზე.¹⁸³ გრძელვადიან საინვესტიციო ხელშეკრულებებში, სავარაუდოა, რომ მხარეები გამართავენ მოლაპარაკებას, მაგრამ უფრო მეტად

¹⁷⁷ *Perillo, J. M.*, Force Majeure and Hardship Under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Tulane Journal of International and Comparative Law*, 1997, 25.

¹⁷⁸ *Doudko, A. G.*, Hardship in Contract: The Approach of the UNIDROIT Principles and Legal Developments in Russia, *Uniform Law Review*, 2003, 502.

¹⁷⁹ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, *Kluwer Law International B.V.*, 2008, 480.

¹⁸⁰ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარები მუხლი 6.2.3; ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1057-article-6-2-3-effects-of-hardship>> [12.07.2019].

¹⁸¹ *Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private law publication series B:55, 2001, para 4.1.

¹⁸² იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარები მუხლი 6.2.3; ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1057-article-6-2-3-effects-of-hardship>>

¹⁸³ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, *Kluwer Law International B.V.*, 2008, 485.

სავარაუდოა, რომ ისინი შეთანხმებას ვერ მიაღწევენ.¹⁸⁴ ამრიგად, თუ მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების შეწყვეტაზე ან ადაპტაციაზე, ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერ მათგანს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს ხსენებულის მოთხოვნით.¹⁸⁵ ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოვალეს არ შეუძლია სასამართლოსათვის მიმართვა მანამ სანამ, მოლაპარაკებების მოთხოვნით არ მიმართავს კრედიტორს და მოლაპარაკებები წარუმატებლად არ დასრულდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სამართალწარმოება გონივრული ვადით, რათა მხარეებმა შეძლონ მოლაპარაკებების გამართვა.¹⁸⁶

აღსანიშნავია, რომ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3(4) მუხლში მხოლოდ სიტყვა - „სასამართლო“ ნახსენები.¹⁸⁷ თუმცა, აღნიშნული არ უნდა განიმარტოს იმგვარად, თითქოს მხოლოდ მას შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა ან ადაპტაცია, კერძოდ, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 1.11 მუხლის თანახმად, ტერმინი „სასამართლო“ მოიცავს ასევე არბიტრაჟსაც.¹⁸⁸ ამრიგად, მხარეებს ხელშეკრულების ადაპტაციის ან შეწყვეტის მოთხოვნით შეუძლიათ მიმართონ, როგორც სასამართლოს, ასევე არბიტრაჟს.

5.3.1 ხელშეკრულების შეწყვეტა

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3(4)(a) პუნქტი სასამართლოს ან არბიტრაჟს ანიჭებს უფლებას - შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მხარეთა შორის მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდება. ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები მოცემულია უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.3.5(1) მუხლში, რომლის თანახმად, „ხელშეკრულების შეწყვეტა ათავისუფლებს ორივე მხარეს თავიანთი ვალდებულებისგან - განახორციელონ და მიიღონ სამომავლო შესრულება“.¹⁸⁹ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ შეწყვეტა მიემართება მხოლოდ სამომავლო

¹⁸⁴ *Wolfgang P.*, Arbitration and Renegotiation of International Investment Agreements, Kluwer Law International, 1995, 247-248.

¹⁸⁵ *McKendrick. E.*, Comment to Performance: Arts 6.2.1 - 6.2.3 – Hardship, in Commentary On The UNIDROIT Principles Of International Commercial Contracts, 2009, 723.

¹⁸⁶ *Brunner C.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008, p. 489.

¹⁸⁷ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარები მუხლი 6.2.3; ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1057-article-6-2-3-effects-of-hardship>> [12.07.2019].

¹⁸⁸ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარები მუხლი 1.11 ; ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/414-chapter-1-general-provisions/873-article-1-11-definitions>> [12.07.2019].

¹⁸⁹ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარები მუხლი 7.3.5; ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/405-chapter-7-non-performance-section-3-termination/1040-article-7-3-5-effects-of-termination-in-general>> [12.07.2019].

ვალდებულებებს.¹⁹⁰ შესაბამისად, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის მექანიზმი არ გულისხმობს უკვე შესრულებული ვალდებულებების მიმართ რეტროაქტიურ ეფექტს¹⁹¹ და გამოიყენება მხოლოდ სამომავლო ვალდებულებების მიმართ.¹⁹² ამრიგად, ვალდებულების შესრულების გართულებისას, მოვალეს ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის მიმართ და არ შეუძლია უკვე შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შესრულების გართულების დროს ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც მისი სამართლებრივი შედეგი, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.¹⁹³ შეწყვეტამდე კი, როგორც მხარეები, ასევე მოსამართლე და არბიტრი ჯერ უნდა შეეცადონ ხელშეკრულების ადაპტაციას. ამ უკანასკნელის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, თუ გარემოებები იძლევა ამის საფუძველს შეწყვიტონ სახელშეკრულებო ურთიერთობა.

5.3.2. ხელშეკრულების მისადაგება (ადაპტაცია)

ადაპტაცია როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი გათვალისწინებულია უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3(4)(a) ქვეპუნქტში. აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოს ან არბიტრაჟს შეუძლია ხელშეკრულების ადაპტაცია მისი წონასწორობის აღდგენის მიზნით.¹⁹⁴ ამრიგად, ხელშეკრულების ადაპტაცია მიზნად ისახავს, სწორედ, დარღვეული სახელშეკრულებო ურთიერთობის წონასწორობის აღდგენას. შესაბამისად, სასამართლოს როლი მდგომარეობს იმაში, რომ სამართლიანად გაანაწილოს შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული დანაკარგები მხარეებს შორის.¹⁹⁵ საამისოდ კი, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ხელშეკრულების დადებისას მხარეთა მიერ წამოწყებული წონასწორობით.¹⁹⁶ ამრიგად, ხელშეკრულების ადაპტაცია უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესის უკეთ დაცვას, კერძოდ, მისი ძირითადი ამოცანაა

¹⁹⁰ Chengwei Liu., EFFECTS OF AVOIDANCE: Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles and PECL and case law, Renmin University of China, 2nd edition: Case annotated update, (2005); ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu12.html#e39>> [12.07.2019].

¹⁹¹ ინგლისურ ენაზე: „retroactive effect“ - ტერმინის ინგლისურენოვანი განმარტება ხელმისაწვდომია: <<https://www.oed-com.ezproxy.library.qmul.ac.uk/view/Entry/164480?redirectedFrom=retroactive#eid>> [12.07.2019].

¹⁹² Florian M., Commentary on the manner in which Articles 7.3.5 and 7.3.6 of the UNIDROIT Principles compare with Articles 81 and 82 of the CISG, (2004) ხელმისაწვდომია: <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/principles/uni81_82.html> [12.07.2019].

¹⁹³ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 180.

¹⁹⁴ იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარები მუხლი 6.2.3; ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1057-article-6-2-3-effects-of-hardship>> [12.07.2019].

¹⁹⁵ იხ., იქვე.

¹⁹⁶ De Silveira, A., Trade Sanctions and International Sales: An Inquiry into International Arbitration and Commercial Litigation, Kluwer Law International, 2014, 327.

არ დაუშვას შეცვლილი გარემოებების პირობებში რომელიმე მათგანის ჩაგვრა. ხელშეკრულების შეცვლასთან ან შესრულებასთან შედარებით მისი ადაპტაცია უზრუნველყოფს მხარეთა სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელებას.¹⁹⁷

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეებს არ აქვთ ხელშეკრულების ადაპტაციის უფლება, უნიდრუას პრინციპების 6.2.3 მუხლის გამოყენება შეიძლება გარკვეულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, კერძოდ, ადაპტაციის ნაცვლად მოსამართლემ შესაძლოა შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა.¹⁹⁸ ამასთან, ვინაიდან, სასამართლოს მიერ ადაპტაცია, მეტწილად, მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიაში ჩარევას წარმოადგენს, მოსამართლეს ან არბიტრს მეტი სიფრთხილე მართებთ. ამასთან, უნდა ჩანდეს მხარეთა ნება ხელშეკრულების დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ ადაპტაციისა. ამრიგად, ყოველგვარი ბუნდოვანებისა და არაპროგნოზირებადი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, ხელშეკრულებაში პირდაპირ არსებობდეს დათქმა, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს სურთ ხელშეკრულების სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ შეწყვეტა ან ადაპტაცია.¹⁹⁹ ამრიგად, შესაძლებელია, თავად მხარეებმა მიანიჭონ სასამართლოს ხელშეკრულების ადაპტაციის უფლებამოსილება.

5.3.3 უნიდრუას პრინციპების გამოყენება ვენის კონვენციის ხარვეზის შემგსებ მექანიზმად სამართლებრივი შედეგების მოწესრიგების ნაწილში

ვენის კონვენცია დუმს ხელშეკრულების ადაპტაციის შესაძლებლობაზე. იურიდიულ დოქტრინაში არსებული მოსაზრების თანახმად, ვენის კონვენცია ვალდებულების შესრულების გართულებისათვის მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს.²⁰⁰ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ბელგიის სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილება. ერთ-ერთ საქმეში, სადაც, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 70 პროცენტით გაიზარდა საქონლის საბაზრო ღირებულება, გამყიდველი ითხოვდა ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი. ბელგიის პირველი ინსტაციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა გამყიდველის მოთხოვნა ხელშეკრულების

¹⁹⁷ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 151.

¹⁹⁸ *Catherine K.*, *Competing Approaches to Force Majeure and Hardship.*, Université Panthéon-Paris II, France., *International Review of Law and Economics*, 2005, 422.

¹⁹⁹ ICC Case No.: 8873 July (1997) ხელმისაწვდომია: <<http://www.unilex.info/case.cfm?id=641>> [12.07.2019].

²⁰⁰ *Atamer Y. M.*, in: Kröll Stefan/mistelis Loukas A./ Perales Viscasillas Maria Del Pilar (Eds.), *Commentary on the UN Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG)*, 2nd ed., 2018, Art. 79; *Schwenzer, I.*, *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 4th ed., Oxford 2016, 79.

ფასის მისადაგებაზე, იმ საფუძველით, რომ აღნიშნული არ იყო ვენის კონვენციის 79-ე მუხლით გათვალისწინებული.²⁰¹

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას და განმარტა, რომ „შესრულების გართულების 79-ე მუხლის მოქმედება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფორს-მაჟორული გარემოებით და არ გამორიცხავდა შესრულების გართულების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველად აღიარებას“.²⁰² ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულების მისადაგების სამართლებრივ საფუძველად განსაზღვრა ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლი, რომლის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან შეცვლილი გარემოებების პირობებში, ხელშეკრულების მისადაგების მიზნით აწარმოონ მოლაპარაკებები. ბელგიის უზენაესი სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა არ დაეთანხმა, ხელშეკრულების ადაპტაციის სამართლებრივ საფუძველს და განმარტა, რომ „ვინაიდან, ვენის კონვენცია შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგებს არ აწესრიგებს, აღნიშნული ხარვეზი მე-7 (2) მუხლის თანახმად, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე უნდა შეივსოს.“²⁰³ სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ზოგადი პრინციპი, რომელიც უნდა გამოყენებულიყო მოცემულ საქმეში, იყო უნიდრუს სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2. მუხლი.²⁰⁴ ამრიგად, როგორც სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა, სავსებით შესაძლებელია, ვენის კონვენციის 79-ე მუხლის გამოყენება ხელშეკრულების ადაპტაციის კონტექსტში. ის ფაქტი, რომ ვენის კონვენცია ვალდებულების შესრულების გართულებისთვის ითვალისწინებს მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტას, უნდა განიხილებოდეს არა ვენის კონვენციის არსებით, არამედ განმარტებისა და მუხლის შიდა ხარვეზად. ამრიგად, შესრულების გართულების საკითხი წარმოადგენს ვენის კონვენციის რეგულირების საგანს, თუმცა, მასში პირდაპირ არ არის მოწესრიგებული ადაპტაციის საკითხი, როგორც ერთ-ერთი სამართლებრივი შედეგი. ვენის კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან ამ კონვენციის რეგულირების საგანს და რომლებიც მასში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მოწესრიგდება ზოგადი პრინციპების შესაბამისად, რომელთაც ემყარება წინამდებარე კონვენცია, ხოლო ასეთი პრინციპების არარსებობის შემთხვევაში

²⁰¹ Scafom International BV v. Lorraine Tubes S.A.S; Hof van Cassatie, 19 June 2009, N°C.07.0289.N, ხელმისაწვდომია: <http://cisgw3.law.pace.edu/cisg/wais/db/cases2/090619b1.html#ctoc> [12.07.2019]; განხილულია სადოქტორო ნაშრომში: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 44-45.

²⁰² იხ., იქვე.

²⁰³ იხ., იქვე.

²⁰⁴ იხ., იქვე.

- საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შესაბამისი გამოსაყენებელი სამართლით.²⁰⁵

უნიდრუას საერთაშორისო სავაჭრო პრინციპები, წარმოადგენს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებისთვის გამოსაყენებელი ზოგადი პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება, როგორც ხარვეზების შემავსებელ ინსტრუმენტებად.²⁰⁶ უფრო მეტიც, იურიდიულ დოქტრინაში არსებული მიდგომის თანახმად, ვენის კონვენციის ბუნდოვანი ნორმების განმარტებისთვის და მასში არსებული ხარვეზების შესავსებად ყველაზე ხშირად უნიდრუას პრინციპები გამოიყენება.²⁰⁷ აღნიშნული მოსაზრება ასევე გაბატონებულია ეროვნულ სასამართლოებშიც და საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებშიც.²⁰⁸ ამრიგად, ვენის კონვენციით გათვალისწინებული შესრულების გართულების საკითხის მოწესრიგების თვალსაზრისით უნდა ვიხელმძღვანელოთ უნიდრუას საერთაშორისო სავაჭრო პრინციპებით.

6. შესრულების გართულების კონცეფცია ქართულ სამართალში

სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებისა და უნიფიცირებული სამართლის მსგავსად, ვალდებულების შესრულების გართულების მომწესრიგებელ კონცეფციას ქართული სამოქალაქო სამართალიც იცნობს. კერძოდ, ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფცია მოცემულია სსკ-ის 398-ე მუხლში სახელწოდებით - „ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი“.²⁰⁹ საინტერესოა ის, რომ სხვა სამართლებრივ სისტემებთან შედარებით, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების მარეგულირებელი კონცეფცია, ქართული სამართლისათვის შედარებით ახალია. თუმცა, უშუალოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, აღნიშნული ნორმა უფრო ადრე აისახა, ვიდრე გერმანულ ან ფრანგულ სამოქალაქო კოდექსებში. როგორც პროფესორი ლადო ჭანტურია ამბობს: „რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ისევე გერმანულ-ქართული თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსით უფრო ადრე გათვალისწინდა ხსენებული ნორმები“.²¹⁰ როგორც

²⁰⁵ იხ., გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (1980) კონვენციის მუხლი 7 (2).

²⁰⁶ იხ., უნიდრუას საერთაშორისო სავაჭრო პრინციპების პრეამბულა.

²⁰⁷ *Bonell, M. J.*, The UNIDROIT principles of International Commercial Contracts and CISG- Alternatives or Complementary instruments? *International Law Review of Wuhan University* (2008-2009), ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/CISG-AC-op13.html>> [12.07.2019]; *Scafom International BV v. Lorraine Tubes S.A.S.; Hof van Cassatie*, June 19, 2009, N°C.07.0289.N, ხელმისაწვდომია: <<http://cisgw3.law.pace.edu/cisg/wais/db/cases2/090619b1.html#ctoc>> [12.07.2019].

²⁰⁸ *Bonell M. J.*, The Unidroit Principles and Transnational Law, *Unified Law Review.*, Vol. 5, 2000, 26-39.

²⁰⁹ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი.

²¹⁰ *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 117. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა N2, 2011, 158.

უკვე აღნიშნა, ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების სასამართლოს მიერ ადაპტაციის უფლება 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ აისახა, გერმანულ სამოქალაქო კოდექსში კი - 2002 წლის საკანონმდებლო რეფორმების შედეგად.²¹¹ ქართული სამოქალაქო კოდექსის წინსწრება იმით არის გამოწვეული, რომ სხვა სამართლებრივ სისტემებთან შედარებით, ქართულ სამართალს სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებთან მიმართებით უფრო სწრაფი რეაგირება ახასიათებს.²¹² თუმცა, აღნიშნული არ უნდა განიხილებოდეს დადებით თვისებად. ისეთ სამართლებრივ სისტემებში, როგორცაა გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის, აღნიშნული კონცეფციების შემუშავებას თითქმის საუკუნე დაჭირდა. შესაბამისად, ამ სახელმწიფოებში ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფციის პრაქტიკაში გამოყენება მეტად ეფექტურია. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული კონცეფციის გამოყენება არც ისე ხშირია. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სამართლის ნორმა პრაქტიკაში არ გამოიყენება, იგი ვერც ვითარდება და პრაქტიკულად მკვდარი ნორმის სტატუსს იღებს. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მოცემულ თავში, მიმოიხილება ვალდებულების შესრულების გართულების ქართული სამართლებრივი კონცეფცია, არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით.

6.1 შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული შესრულების გართულება როგორც ხელშეკრულების ადაპტაციის წინაპირობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.“²¹³ ამრიგად, სსკ-ის 398-ე მუხლი ადგენს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი ადაპტაციის წინაპირობებს. შესაბამისად, წინამდებარე მუხლის გამოყენება დასაშვებია შემდეგი აუცილებელი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში: „1) შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2) გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3) გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4) ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე

²¹¹ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა N2, 2011, 158.

²¹² იხ., იქვე.

²¹³ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის 1-ლუ ნაწილი.

მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5) ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ესე იგი არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი“.²¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, „მითითებული ნორმა განსაზღვრავს შესრულების გართულების შედეგების თავიდან აცილების მიზნით, კონტრაქტთა ხელახალ შეთანხმებას ხელშეკრულების შექმნილი ვითარებისადმი მისადაგებული პირობებით. ამასთან, მხარეთა ამგვარი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაზარალებული მხარის უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო წესით“.²¹⁵ წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის, აუცილებელია, დეტალურად განვიხილოთ ხელშეკრულების ადაპტაციისათვის სსკ-ის 398 მუხლით განსაზღვრული წინაპირობები.

6.1.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი

ხელშეკრულების მისადაგებისათვის, სსკ-ის 398-ე მუხლით განსაზღვრული პირველი წინაპირობა არის ხელშეკრულების იმ გარემოებების ცვლილება, რომელიც მისი დადების საფუძველი გახდა. უმეტეს შემთხვევაში, სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების დადების საფუძველია მოგების მიღება. ამრიგად, ამა თუ იმ ხელშეკრულების დადებისას, მხარეებს ამომრავებთ მოგების მიღების სურვილი. საამისოდ კი, სამოქალაქო ბრუნვის საღად მოაზროვნე სუბიექტები დიდ ყურადღებას ანიჭებენ, საქონლის ფასს, ხარისხს, მიწოდების დროს და ა.შ. ხელშეკრულების დადების აღნიშნულ გარემოებათა ცვლილებად კი შეიძლება ჩაითვალოს საქონლის ფასის მკვეთრი გაზრდა, გაუთვალისწინებელი გადასახადების შემოღება და ა.შ.²¹⁶

ბიზნეს ურთიერთობებში ხელშეკრულების საფუძვლის დასადგენად სამი ელემენტი უნდა გაითვალისწინებოდეს: „(1) ფაქტობრივი, რომელიც გულისხმობს, რომ არსებითი, შეთანხმების საფუძვლად მიჩნეული, გარემოებები კონტრაქტთა ან ერთ-ერთი მათგანის მიერ ხელშეკრულების დადების ეტაპზევა გაცნობიერებული და ნაგულისხმევი. ეს პირობები რომ არ ყოფილიყო მხარეთა (ან მხარის) მიერ ნავარაუდები, ხელშეკრულება არ დაიდებოდა, ან გაფორმდებოდა იგი სრულიად განსხვავებული შინაარსით. (2) ჰიპოთეტური ელემენტი — ხელშეკრულების საფუძვლად მიჩნეული მხარის/მხარეთა ნაგულისხმევი პირობები აუცილებლად გახდებოდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ერთ-ერთი მათგანის შესაბამისი სურვილის შემთხვევაში. (3) ნორმატიული ელემენტი — მეორე მხარე აუცილებლად დაეთანხმებოდა ხსენებული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვას. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია, რადგან იგი ქმნის ხელშეკრულების საფუძველს

²¹⁴ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე ას-7-6-2010

²¹⁵ იხ., იქვე.

²¹⁶ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, მე-2 გამოცემა, 1999, 57.

ორივე მხარისათვის“.²¹⁷ ამასთან, ბიზნეს ურთიერთობებში ზემოაღნიშნული ელემენტების გათვალისწინებით, სასურველია, იმავე პირობებში მყოფი, საღად მოაზროვნე მესამე პირის ტესტის გამოყენება. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა დადგინდეს დადებდა თუ არა იმავე სფეროში მოღვაწე, იმავე ფინანსური მდგომარეობის მქონე ბიზნესმენი, ანალოგიური შინაარსის (საფუძვლის) ხელშეკრულებას.

6.1.2 აშკარა ცვლილება

სსკ-ის 398-ე მუხლის საფუძველზე, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, აუცილებელია, ხელშეკრულების დადების საფუძვლის „აშკარა“ ცვლილება.²¹⁸ ეს უკანასკნელი კი იმდენად მძიმე უნდა იყოს, რომ მისი გათვალისწინების შემთხვევაშიც მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას.²¹⁹ აღსანიშნავია, რომ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ვენის კონვენციისა და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებისგან განსხვავებით, ტერმინი - „აშკარა“ ცვლილება შეცვლილი გარემოებების სიმძიმის განმსაზღვრელი არ არის. ამასთან, არც სამოქალაქო კოდექსი განმარტავს თუ რა კონკრეტული პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება ჩაითვალოს აშკარა ცვლილებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი კომენტარების თანახმად იგი სახეზეა, როდესაც „კატასტროფულად“ იზრდება საქონლის ან შესრულების ფასი.²²⁰ „ცვლილებამ იმდენად უნდა გააუარესოს მოვალის მდგომარეობა, რომ მისგან თავდაპირველი პირობებით ხელშეკრულების შესრულება მოთხოვნა არათაბარზომიერად ხელყოფდეს მის ინტერესებს“.²²¹ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავსირებით, რომლის თანახმად „ვალდებულების შესრულების პროცესში მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ გარემოებათა წინაშე, რომელთაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინონ ვალდებულების სავალდებულო ხასიათზე. მხარეთა მიერ წინასწარ გათვლილი უცვლელი გარემოებანი, შესაძლებელია, რომ ცვალებადი აღმოჩნდეს. ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც არსებითად ცვლიან სახელშეკრულებო წონასწორობას და მხარეთა ურთიერთმხრივ შესრულებათა არსებით დისბალანსს იწვევენ.“²²² აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ განჩინებაში უზენაესმა

²¹⁷ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, N2, , თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, 145; ასევე იხ., Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, European Review of Private Law, Vol. 15, No. 4, 2007, 489.

²¹⁸ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 398-ე მუხლის I ნაწილი.

²¹⁹ ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართლის ავტორთა კრებულში., რედ: გიორგი ჯუღელი., მერიდიანი., თბილისი, 2014, 264.

²²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ნაწილი, გამომცემლობა: სამართალი 2001, 400-401.

²²¹ ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართლის ავტორთა კრებულში., რედ: გიორგი ჯუღელი., მერიდიანი., თბილისი, 2014, 264.

²²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 აპრილის განჩინება საქმე№ას-1475-1395-2017.

სასამართლოს ტერმინი „აშკარა“-ს ნაცვლად გამოიყენა ტერმინი „არსებითი“, რომელიც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების სიმძიმის განმსაზღვრელია. უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული ტერმინი განსაზღვრავს თუ როგორი ბუნების, ხასიათის და სიმძიმის უნდა იყოს ის გარემოება, რომელის ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის საფუძველი შეიძლება გახდეს. ვინაიდან ტერმინი არსებითი გულისხმობს უმთავრესს, ძირითადს, ნიშაბდობლივს, მეტად მნიშვნელოვანს,²²³ რასაც ასევე იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლო.²²⁴ აქედან გამომდინარე, მიუხედავად ტერმინოლოგიური განსხვავებისა, სსკ-ის 398-ე მუხლი ვენის კონვენციის 79-ე მუხლისა და უნიდრუსს სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2-ე მუხლის მსგავსად, საკმაოდ მაღალ სტანდარტს აწესებს. რაც შეეხება პროცენტულ მაჩვენებელს, იგი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

6.1.3 ცვლილების წარმოშობა ხელშეკრულების დადების შემდგომ

სსკ-ის 398-ე მუხლის საფუძველზე, ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის წარმოშობისათვის შემდეგი წინაპირობაა, „ხელშეკრულების დადების შემდეგ“, დადების საფუძვლის აშკარა ცვლილება.²²⁵ ამრიგად, სსკ-ის 398-ე მუხლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, უშუალოდ, დაბრკოლების წარმოშობის დროს. ამასთან, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. შესაბამისად, ის გარემოება, რომელიც ართულებს ვალდებულების შესრულებას, შეიძლება წარმოშობილი იყოს ხელშეკრულების დადებამდე, თუმცა, უშუალოდ, გაფორმების დროს აღნიშნული გარემოება მხარეთათვის უცნობი უნდა იყოს.²²⁶ აღსანიშნავია, რომ უნიდრუსს სახელშეკრულებო პრინციპების თანახმადაც, დაბრკოლება უნდა იყოს წარმოშობილი ხელშეკრულების დადების შემდგომ.²²⁷ რაც შეეხება ვენის კონვენციას, 79-ე მუხლი პირდაპირ არ მოიცავს დათქმას დაბრკოლების წარმოშობის ზუსტ დროსთან დაკავშირებით. თუმცა, მუხლის შემუშავების ისტორია და იურიდიულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრების

²²³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ხელმისაწვდომია: <<http://www.ena.ge/explanatory-online>>, [12.07.2019].

²²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით, საქმეზე № ას-466-707-08.

²²⁵ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი;

²²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ნაწილი, გამომცემლობა: სამართალი, 2001, 400-401.

²²⁷ იხ., უნიდრუსს უფიციალური პომენტარი, მუხლი 6.2.2, ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1058-article-6-2-2-definition-of-hardship>> [12.07.2019].

თანახმად, ხელშეკრულების დადების ფაქტი წინ უნდა უსწრებდეს დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობის ფაქტს.²²⁸

თუმცა, როგორც უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებში, ასევე ვენის კონვენციაში არ არის დათქმა, რომელიც შინაარსობრივად ჰგავს სსკ-ის 398-ე მე-2 ნაწილს, კერძოდ, არასწორ წარმოდგენებს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიდგომა შეცვლილი გარემოების წარმოშობის დროის მიმართ შედარებით უფრო მოქნილია, ვიდრე ვენის კონვენციისა და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები.

6.1.4 გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა

გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფციის არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულს, როგორც უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები²²⁹ და ვენის კონვენცია,²³⁰ ასევე, სსკ-ის 398-ე მუხლიც მოიცავს წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის წინაპირობას, რომლის თანახმად, „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ“.²³¹ ამრიგად, მიუხედავად იმისა, აშკარაა თუ არა ცვლილება და ცვლის თუ არა ხელშეკრულების დადების საფუძველს, თუ მხარეებს შეეძლოთ მისი წინასწარ გათვალისწინება, სსკ-ის 398-ე მუხლის მიზნებისათვის, იგი ვერ ჩაითვლება შეცვლილ გარემოებად. შესაბამისად, იმისათვის, რომ წარმოიშვას ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება, აუცილებელია, დადგინდეს შეეძლოთ თუ არა მხარეებს შეცვლილი გარემოების წინასწარ გათვალისწინება.²³² აღნიშნული კი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასების პროცესში, ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ე.წ გონიერი ბიზნესმენის პრინციპი.²³³ კერძოდ, თუ ანალოგიურ პირობებში მყოფი საღად მოაზროვნე მესამე პირისათვის (ბიზნესმენისათვის) შეცვლილი გარემოებების გათვალისწინება შესაძლებელი იყო ან გაითვალისწინა კიდეც, მაშინ გარემოება 398-ე მიზნებისათვის შეცვლილად ვერ ჩაითვლება.

²²⁸ *Rimke J.*, Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 2000, 211-224.

²²⁹ იხ., უნიდრუას უფიციალური პორტალი, მუხლი 6.2.2, ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1058-article-6-2-2-definition-of-hardship>> [12.07.2019].

²³⁰ იხ., Convention on International Sale of Goods (CISG) Art. 79.

²³¹ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის I ნაწილი.

²³² *Суханов Е.А.* Гражданское Право в 4-х томах том iii Обязательственное Право., Московский Государственный Университет Имени М.В. Ломоносова, 2005, ხელმისაწვდომია: <http://av-ue.ru/eb_main.php?d=gr_pr_suhcanov_3.htm> [12.07.2019].

²³³ *Tallon D.*, in Bianca-Bonell: Commentary on the International Sales Law, Article 79. Giuffrè:Milan, Dott. A Giuffrè Editore, S.p.A., 1987, 580.

6.1.5 გარემოების არსებობა მხარის კონტროლს მიღმა

იმისათვის, რომ შეცვლილი გარემოება ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი გახდეს, იგი უნდა იმყოფებოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის მიღმა და არ უნდა იყოს შეცვლილი გარემოებით გამოწვეული რისკი მატარებელი მხარე.²³⁴ იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული მოსაზრების თანახმად, მხარეთა კონტროლის მიღმა გარემოებებად ითვლება პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, ექსპორტისა და იმპორტის ტარიფების გაზრდა, ვალუტის გაუფასურება,²³⁵ ბუნებრივი კატასტროფები, ომი, რევოლუცია და ა.შ.²³⁶ შესაბამისად, გარემოება მოვალის კონტროლის მიღმა იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე იგი მოკლებულია შესაძლებლობას თავიდან აიცილოს ამ გარემოებით გამოწვეული შედეგი. ამასთან, თუ სახეზეა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობის წინაპირობა, ივარაუდება, რომ გარემოება, იმავდროულად, მხარეთა კონტროლის მიღმა იყო.²³⁷ სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ხელშეკრულების დადებისას, მხარეებისთვის, გარემოება უცნობი იყო, მხარეებს არ შეეძლოთ მისი გათვალისწინება და სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული არც ევალუბოდათ და არც გონივრულად იყო მოსალოდნელი, იგი მხარის კონტროლის მიღმად ითვლება.

6.1.6 მიზეზობრივი კავშირი

სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის აუცილებელია, რომ შეცვლილი გარემოება მიზეზობრივ კავშირში იყოს დამდგარ შედეგთან (ვალდებულების შესრულების გართულებასთან). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს მიზეზობრივი კავშირის ორ თეორიას: (1) პირობათა ექვივალენტურობის თეორიასა ე.წ. „რომ არა“ ტესტი (პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზობრიობა) და (2) მიზეზობრივი კავშირის ადეკვატურ თეორიას (პასუხისმგებლობის მასშტაბის განმსაზღვრავი მიზეზობრიობა).

პროფესორი მერაბ ტურავას განმარტებით, ექვივალენტურობის თეორიის მიხედვით, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისთვის თანაბარმნიშვნელოვანს (ექვივალენტურს) წარმოადგენს, თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე, შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (condition *sino qua non*).²³⁸ ადეკვატურობის თეორიის თანახმად, კი „მიზეზობრივი კავშირის

²³⁴ *ძლიერიშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართლის ავტორთა კრებულში., რედ: გიორგი ჯუღელი., მერიდიანი., თბილისი, 2014, 264.

²³⁵ *Schlechtriem P.*, Schwenzler I., *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3rd Edition., Oxford University Press, 2010, 1073.

²³⁶ Hungary 10 December 1996 Budapest Arbitration proceeding Vb 96074 (Caviar case) ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cases/961210h1.html>> [12.07.2019].

²³⁷ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 256.

²³⁸ *ტურავა, მ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ბონა კაუზა, 2010, 92.

დადგენისათვის მნიშვნელოვანია, იდენტიფიცირდეს ის მომენტი, რომ ამა თუ იმ ქმედების ჩადენის დროს დამდგარი შედეგის გამოწვევა გარკვეულწილად სავარაუდო იყო თუ არა. როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართალში მიიჩნევა, რომ ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შედეგის ადეკვატურ პირობად, თუ მისმა ჩადენამ შედეგის დადგენის ობიექტური შესაძლებლობა ზოგადად, გენერალიზებულად, ე.ი. საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად აამაღლა.²³⁹

სასამართლო პრაქტიკით ან/და იურიდიული დოქტრინით ცალსახად არ არის დადგენილი შეცვლილი გარემოებების დროს რომელი თეორიით უნდა ვიხელმძღვანელოთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ შეცვლილი გარემოების დროს მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასადგენად ექვივალენტურობის თეორიის გამოყენება უფრო ლოგიკურია, ვინაიდან, უნდა დადგინდეს: „რომ არა“ შეცვლილი გარემოება, დადგებოდა თუ არა იგივე შედეგი, ანუ შეასრულებდა თუ ვერა მოვალე მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამასთან, შეცვლილ გარემოებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი იმდენად აშკარა უნდა იყოს, რომ აღნიშნული ეჭვს არ იწვევდეს. ამასთან, ვალდებულების შესრულების გართულების დროს, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ითხოვს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას ანუ მოვალეს.²⁴⁰

მიზეზობრივი შედეგის მტკიცებისას, ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს, გამოწვეულია თუ არა ვალდებულების შესრულების გართულება სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის ბრალით. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა, როდესაც მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობამდე²⁴¹ და შემდგომში შეცვლილ გარემოებაზე დაყრდნობით ითხოვს ხელშეკრულების მისადაგებას. აღნიშნულ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების გართულება გამოწვეულია არა შეცვლილი გარემოებით, არამედ მოვალის ბრალით, ვინაიდან, მან დროულად არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

6.2 ხელშეკრულების მისადაგების პრიმატე ხელშეკრულების შეწყვეტასთან მიმართებით

სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება.²⁴² ამრიგად, ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ შეცვლილი გარემოებების ერთ-ერთი

²³⁹ იხ., იქვე, გვ 94

²⁴⁰ ICC Case No. 7197 of 1992 (Failure to open letter of credit and penalty clause case); ხელმისაწვდომია: <<http://www.cisg.law.pace.edu/cases/927197i1.html>> [12.07.2019].

²⁴¹ ივარაუდება, რომ ვალდებულების შესრულების ხელშეკრულებით დადგენილი ვადა უფრო ადრეა ვიდრე დაბრკოლების წარმოშობის ვადა.

²⁴² იხ., იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის I ნაწილი.

სამართლებრივი შედეგი, სსკ-ის 398-ე მუხლის კონტექსტში, არის ხელშეკრულების მისადაგება (ადაპტაცია). წინამდებარე მუხლი ავალდებულებს მხარეებს აწარმოონ მოლაპარაკებები ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით. ამასთან, თვით მოლაპარაკების წარმოების ვალდებულება, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების წარმოშობის წინაპირობად გვევლინება. ამრიგად, მხარეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ხელშეკრულების მისადაგებისათვის.²⁴³ თუმცა, აღსანიშნავია ის რომ მოლაპარაკების წარმოების ვალდებულება არ გულისხმობს ხელშეკრულების მისადაგების ვალდებულებას. სსკ-ის 398-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე“. აღნიშნული დებულება სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეს უფლებას აძლევს, წარუმატებელი მოლაპარაკების შემთხვევაში, გავიდეს ხელშეკრულებიდან და ამით უგულუბელყოფს სასამართლოს როლი ხელშეკრულების მისადაგების თვალსაზრისით.²⁴⁴ ერთ-ერთ საქმეზე²⁴⁵, სადაც მეიჯარე ითხოვდა იჯარის ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, იმ საფუძველით, რომ ეროვნული კურსის ცვლილებამ საიჯარო ქირის ცვლილების აუცილებლობა განაპირობა, რადგან განცხადების წარდგენის დროისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის ოდენობა და საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. სასამართლომ განმარტა, რომ „ვინაიდან მოიჯარემ უარი განაცხადა ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგებაზე საზოგადოებას წარმოეშვა სსკ-ის 398.3-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება“. ამრიგად, წარუმატებელი მოლაპარაკებების დროს, მისადაგების მოთხოვნით სასამართლოში მიმართვის ნაცვლად, მხარეს შეუძლია პირდაპირ შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამასთან, სსკ-ის 398-ე მუხლის შინაარსიდან არ გამომდინარეობს სასამართლოს უფლებამოსილება, მხარეების ნაცვლად მიუსადაგოს ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს. ამრიგად, სსკ-ის 398-ე მუხლი მართალია, ითხოვს მხარეებისგან შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მოლაპარაკებების წარმოებას, თუმცა, უშუალოდ მხარეებს არ ავალდებულებს აღნიშნულს და არც სასამართლოს ანიჭებს იმის უფლებამოსილებას, რომ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელმა განახორციელოს ზემოხსენებული. აღნიშნული კი უგულუბელყოფს ხელშეკრულების მისადაგები პრინციპის ეფექტიანობას. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლის მიზანია სახელშეკრულებო

²⁴³ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, 288-299.

²⁴⁴ ჯანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., (2001), 407. მითითებულია სტატიაში: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, N2, , თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, 161.

²⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 აპრილის განჩინება საქმე№ას-1475-1395-2017.

ურთიერთობის შენარჩუნება და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, მაშინ, იმ მხარეს, რომელიც ითხოვს ხელშეკრულების მისადაგებას, უნდა შესძლებოდეს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება.²⁴⁶ ამრიგად, სსკ 398-ე მუხლი, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, არა მარტო კრედიტორის არამედ დაზარალებული მხარის ინტერესების დაცვასაც მოიმახსურებს.

6.3 ვალდებულების შესრულების გართულების უნიფიცირებული და ქართული მოდელის ეფექტიანობის ანალიზი

ვალდებულების შესრულების გართულების განხილულ კონცეფციებს შორის უამრავი მსგავსება და განსხვავებაა. თითოეულ კონცეფციას გააჩნია თავისებური მიდგომა შეცვლილი გარემოებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების საკითხის მოგვარებისადმი. წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხილული კონცეფციების ეფექტიანობის შედარება მათ მიერ გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით. წინამდებარე ნაშრომში განხილული კონცეფციებიდან, ვენის კონვენცია ვალდებულების შესრულების გართულების მიმართ იყენებს 79-ე მუხლს. მართალია აღნიშნული პირდაპირ არ განსაზღვრავს, მაგრამ მუხლის ინტერპრეტაციისა და დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, დგინდება, რომ იგი გამოიყენება, როგორც შესრულების შეუძლებლობის, ასევე გართულების მიმართ. თუმცა, უშუალოდ, 79-ე მუხლით განსაზღვრულია მხოლოდ შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგი - პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და ხელშეკრულების შეწყვეტა. ვენის კონვენციის ხსენებული ნორმა არ ითხოვს მხარეებისგან ხელშეკრულების მისადაგებისათვის მოლაპარაკების წარმოებას და არც ხელშეკრულების ადაპტაციას ითვალისწინებს, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგს. აღნიშნული კი, ვენის კონვენციის შიდა ხარვეზად არის მიჩნეული, რომლის შესავსებადაც მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გამოიყენება უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების კონცეფცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ ვენის კონვენციის 79-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების ადაპტაცია მოხდეს, უნდა მივმართოთ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3 (4) (b) ნაწილს. ამრიგად, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი ვალდებულების შესრულების გართულების, მხოლოდ პრობლემის მოგვარების მექანიზმს გვთავაზობს. იმისათვის რომ, აღნიშნული ეფექტურად მუშაობდეს უნდა ვიხელმძღვანელოთ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით. ეს კი საკმაოდ სადავო საკითხი შეიძლება გახდეს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები ე.წ. „რბილი

²⁴⁶ *ო. მუტჰორსტი*, დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით, ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) დაკვეთით, „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ პროგრამის ფარგლებში.

სამართალია“ და მისი ავტომატური გამოყენება ვენის კონვენციის ხარვეზების შემდგომ მექანიზმად არაგონივრულია. თუმცა, დღეს, იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრება საპირისპიროს გვაჩვენებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ვენის კონვენციის 79-ე მუხლი ვალდებულების შესრულების ხარვეზიან და არაეფექტურ მექანიზმს ითვალისწინებს, პრაქტიკაში აღნიშნულის გამოსწორება შესაძლებელია. შესაბამისად, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ვენის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფცია, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების დახმარებით, ეფექტურად ასრულებს საკუთარ როლს.

რაც შეეხება უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფციას, ეს უკანასკნელი განხილულ კონცეფციებს შორის ყველაზე ეფექტიან მექანიზმს გვთავაზობს. იგი ჯერ ავალდებულებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს განახორციელონ ხელშეკრულების ადაპტაცია მოლაპარაკებების გზით და იმ შემთხვევაში თუ მხარეთა მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდება ხელშეკრულების ადაპტაციას ანდობს სასამართლოს ან არბიტრაჟს. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3.-ე მუხლი ხელშეკრულების შეწყვეტას უკანასკნელ ზომად განიხილავს. იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებისათვის ყველა შესაძლო გზა გამოყენებულია და ადაპტაცია მაინც შეუძლებელია, კერძოდ, არ არის მიზანშეწონილი ან/და აზრს მოკლებულია, მხოლოდ მაშინაა დასაშვები სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა. ამრიგად, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებით გათვალისწინებული მექანიზმი, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ყოველგვარი ბუნდოვანებისა და ორაზროვნობის გარეშე ეფექტიანად ასრულებს თავის როლს, შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების პრობლემის აღმოფხვრისას.

ვენის კონვენციის 79-ე მუხლისგან განსხვავებით, სსკ-ის 398-ე მუხლი ავალდებულებულებს მხარეებს, შეცვლილი გარემოებების პირობებში აწარმოონ მოლაპარაკებები ხელშეკრულების მისადაგების მიზნით. თუმცა, ეფექტიანი სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, იგი დიდად არ განსხვავდება ვენის კონვენციისგან, ვინაიდან, ორივე შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი - ხელშეკრულების შეწყვეტაა. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებისგან განსხვავებით, სსკ-ის 398-ე მუხლი არ ანიჭებს სასამართლოს ან არბიტრაჟს უფლებას - წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, თავად მიუსადაგონ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს. უფრო მეტიც, სსკ-ის 398-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს მხარის უფლებას - წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ, გავიდეს ხელშეკრულებიდან. ამით კი უფრო უგულუბელყოფილია სასამართლოს როლი ვალდებულების შესრულების გართულების პრობლემის მოგვარებისას. ამრიგად, სსკ-ის 398-ე მუხლი სამართლებრივი შედეგების

თვალსაზრისით, ვალდებულების შესრულების გართულების საკმაოდ არაეფექტიან კონცეფციას გვთავაზობს.

დასკვნა

ვალდებულების შესრულების გართულების პრინციპს დიდი ისტორია აქვს. იგი სათავეს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს, სადაც Rebus sic stantibus-ის პრინციპის სახით იყო ცნობილი. თუმცა ამჟამინდელი სახით, როგორც სამართლის ინსტიტუტი, მხოლოდ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა. სახელშეკრულებო სამართალში შესრულების გართულების საკითხის აქტუალობა დღის წესრიგში დადგა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. შესრულების გართულება განსაკუთრებით პრობლემურია საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. აღნიშნული კი გამოწვეულია საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების კომპლექსური და არასტაბილური ხასიათით. ვალუტის დევალვაცია, იმპორტისა და ექსპორტის ტარიფების გაზრდა და მსგავსი მოულოდნელი ცვლილებები, ხშირ შემთხვევაში, ართულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. Pacta Sunt Servanda-ს პრინციპი კი, სწორედ, მოვალეს მიერ შესრულების ვალდებულებას გულისხმობს. თუმცა, შეცვლილმა გარემომებამ შესაძლოა ხელშეკრულების ერთ მხარეს იმგვარი ზიანი მიაყენოს, რამაც სახელშეკრულებო ურთიერთობის აზრის დაკარგვა გამოიწვიოს. მხარეთა ინტერესების დაცვის მიზნით შემუშავდა ე.წ. Rebus Sic Stantibus-ის პრინციპი, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის უნიფიცირებულ აქტებში, შესრულების გართულების (hardship-ის) სახით არის ცნობილი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არ არსებობს შესრულების გართულების ერთიანი მიდგომა და აღნიშნული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებსა და უნიფიცირებულ სამართლებრივ აქტებში სხვადასხვა სახითა და პრინციპებით არის ჩამოყალიბებული. მიუხედავად ამისა, ხსენებული პრინციპები ერთ მიზანს ემსახურება: დაიცვას, შეცვლილი გარემოებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულებისას, მხარეთა ინტერესები. გამომდინარე იქიდან, რომ შეცვლილი გარემოების წარმოშობისას, თითქმის ყველა ხელშეკრულება იმყოფება ვალდებულების შესრულების გართულების საფრთხის ქვეშ, აღნიშნული საკითხი, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიზნებისთვის, რეგულირებას საჭიროებს. გამომდინარე იქიდან, რომ შესრულების გართულებას, როგორც ქართული, ასევე უნიფიცირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიც არეგულირებენ, შესაბამისად, ნაშრომში განხილული საკითხებიდან, მნიშვნელოვანია, რამდენიმე მათგანი გამოიყოს:

1. **შესრულების შეუძლებლობისა (ფორს მაჟორი) და შესრულების გართულების (hardship) კონცეფციები განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ემსახურებიან.** შესრულების გართულებაც და შესრულების შეუძლებლობაც ერთ მიზანს ემსახურება, რომელიც შეცვლილი გარემოების შედეგად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებისთვის მიყენებული ზიანის შემცირებაა. უფრო მეტიც, ხსენებული პრინციპები თითქმის ერთი და იგივე წინაპირობებით არის გამოწვეული. თუმცა, შესრულების შეუძლებლობის დროს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ობიექტურად შეუძლებელი ხდება და ამრიგად სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს სხვა

არაფერი რჩებათ, გარდა ხელშეკრულების შეწყვეტისა. შესრულების შეუძლებლობისგან განსხვავებით, შესრულების გართულების დროს, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ობიექტურად ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუმცა, შეცვლილი გარემოებების გამო, მისი შესრულება მძიმე ტვირთად აწვება მოვალეს. შესაბამისად, ხელშეკრულების თავდაპირველი (შეუცვლელი) პირობებით შესრულების მოთხოვნა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამრიგად, სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებისა და დაზარალებული მხარის დაცვის მიზნით, ხელშეკრულება უნდა მიესადაგოს შეცვლილ გარემოებებს. იმგვარად, რომ ხელშეკრულების შესრულება მხარეებს მძიმე ტვირთად არ დააწვეს. მაშასადამე, შესრულების გართულების კონცეფცია, შესრულების შეუძლებლობისგან განსხვავებით, არა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას, არამედ მის შენარჩუნებას ემსახურება. თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნება, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით შეუძლებელია, იგი მხოლოდ ამ შემთხვევაში უშვებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას.

2. ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების გართულების დათქმის კონსტრუირება (შედეგნა) საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს. შესრულების გართულების დროს წარმოშობილი მტკიცების ტვირთისა და ადაპტაციის სირთულების ფონზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეცვლილი გარემოებების მარეგულირებელი, ხელშეკრულებაში ინკორპორირებული, დებულების სწორ ფორმულირებას. როგორც აღინიშნა, მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ შესრულების გართულების ზოგადი დახასიათება და ამით ფართო მნიშვნელობა მიანიჭონ მას. ამასთან, მხარეებს შეუძლიათ უფრო ვიწროდ და კონკრეტულად განსაზღვრონ ყველა ის შემთხვევა, რომელიც ხელშეკრულების მიზნებისთვის, გართულებად ჩაითვლება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა შესაძლო გარემოების ხელშეკრულებაში წინასწარ ჩაწერა შეუძლებელია, არ არის მიზანშეწონილი განისაზღვროს გარემოებების ამომწურავი ჩამონათვალი. მხარეთა ინტერესების დაცვის მიზნით, უმჯობესია, ხელშეკრულებაში ჩაიწეროს ისეთი ფორმულირება, რომელიც არ ზღუდავს შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ ნების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე, მხარეებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ ან პირიქით გამორიცხონ ნებისმიერი გარემოება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, „რბილი სამართლით“ სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგება არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა. თუმცა ამ ტიპის ნორმათა ინკორპორირებამ, შესაძლოა, გარკვეული ტიპის პრობლემა წარმოშვას სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად განსაზღვრის თვალსაზრისით. შესაძლებელია, ნორმის ინკორპორირებით ხელშეკრულებაში ღია დარჩეს ის საკითხები, რომელთა მოწესრიგების შესაძლებლობასაც რბილი სამართალი არ იძლევა. მაგ: ICC Hardship Clause (2003) არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ადაპტაციის საკითხს, ასეთ

შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან დამატებით განსაზღვრონ ადაპტაციის ვალდებულება. შესაბამისად, „რბილი სამართლის“ დებულების ინკორპორირებისას, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მხარეებს მეტი სიფრთხილე მოეთხოვებათ. ამრიგად, ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგების ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული საკითხი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს როგორც, მხარეთა მიერ სახელშეკრულებო დათქმების უშუალოდ შედგენის, ასევე, რომელიმე „რბილი სამართლის“ ნორმების ხელშეკრულებაში ინკორპორირების დროსაც.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ (1980) არეგულირებს ვალდებულების შესრულების გართულებას. მართალია, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს ხსენებულზე, თუმცა არასწორია იმის მტკიცება, რომ წინამდებარე მუხლი არ მოიცავს შესრულების გართულებასა და გამოიყენება მხოლოდ შესრულების შეუძლებლობის მიმართ. ვენის კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ცოცხალი ელემენტია და იგი ვითარდება სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკით. მნიშვნელოვანია, ასევე მისი ინტერპრეტაციის საკითხიც. აღსანიშნავია, რომ 79-ე მუხლის ტექსტი ბუნდოვანია და მისი სიტყვასიტყვითი ანალიზიდან რთულია იმის დადგენა შეიძლება თუ არა ხსენებული მუხლის გამოყენება შეცვლილი გარემოებით გამოწვეული შესრულების გართულების საკითხის მოგვარებისათვის. დღეს, იურიდულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომა პირდაპირ გვაჩვენებს იმას, რომ 79-ე მუხლი გამოიყენება, როგორც შესრულების შეუძლებლობის, ასევე შესრულების გართულებისათვის. თუმცა, ცალსახაა, რომ მუხლი ხარვეზიანია, და სრულფასოვნად ვერ ემსახურება შესრულების გართულების კონცეფციის მიზნებს, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ადაპტაციის შესაძლებლობას და აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3-ე მუხლი. თუმცა, ხარვეზის შესავსებად წინამდებარე მუხლის გავრცელება, იმ ფარგლებში, რომ მხარეებმა ამის თაობაზე ხელშეკრულებაში არ გააკეთეს არანაირი დათქმა, ლოგიკას მოკლებულია და ეწინააღმდეგება მხარეთა ნების თავისუფლებას. იგივე წარმატებით შესაძლებელია უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ისეთი მუხლის გავრცელება, რომელიც ვენის კონვენციაში საერთოდ არ არის ნახსენები და არ წარმოადგენს მხარის ინტერესს ხელშეკრულების დადების დროს. ამრიგად, მართალია, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი არეგულირებს ვალდებულების შესრულების გართულების საკითხს, თუმცა, იგი ყოველთვის არ შეესაბამება მხარეთა ნამდვილ ნებასა და ინტერესს. იმისათვის, რომ ზოგადად ვენის კონვენცია და განსაკუთრებით 79-ე მუხლი სრულად შეესაბამებოდეს მხარეთა ნამდვილ ნებას, სასურველია ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სამართლის ის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება კონვენციის ხარვეზების შესავსებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ისეთი შედეგი, რომელიც საერთოდ არ ასახავს მხარეთა ინტერესებს.

4. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები, დღეს, სამართლის ყველაზე სრულყოფილი ინტრუმენტია ვალდებულების შესრულების გართულების საკითხის მოწესრიგების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების შექმნიდან მხოლოდ 25 წელია გასული, იგი უკვე დამკვიდრებულია, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი. აღნიშნული კი გამოწვეულია იმით, რომ მასში გაერთიანებულია სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიერ შემუშავებული კონცეფციების ძლიერი ასპექტები, ამავდროულად, იგი მიზნად ისახავს ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებას საერთაშორისო კერძო სამართლებრივ კონტექსტში. აღნიშნული ასევე ვრცელდება უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებში შემუშავებული ვალდებულების შესრულების გართულების კონცეფციაზეც. მასში მოცემულია ყველა წინაპირობა, რომელიც აუცილებელია იმისათვის რომ გარემოება დაკვალიფიცირდეს შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად და გართულებად. ის, პირველ რიგში, მხარეებისგან ითხოვს კეთილსინდისიერად შეეცადონ ხელშეკრულების ადაპტაციას, თუმცა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით არ განსაზღვრავს მისადაგების ვალდებულებას. წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, იგი ანიჭებს სასამართლოს, თავდაპირველად, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით განახორციელოს ხელშეკრულების ადაპტაცია და მხოლოდ ამ უკნანასკნელის შეუძლებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამრიგად, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები (6.2.1-6.2.3) მთლიანად ემსახურება ვალდებულების შესრულების გართულების ბუნებრივ მიზანს, რომელიცაა ხელშეკრულების ადაპტაცია.

5. სსკ-ის 398-ე მუხლი საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას იმისათვის, რომ სრულად შეძლოს შეცვლილი გარემოებით ვალდებულების შესრულების გართულების პრინციპის მიზნების ეფექტურად განხორციელება პრაქტიკაში. სსკ-ის 398-ე აწესრიგებს შეცვლილი გარემოებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების საკითხებს, თუმცა, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების მისადაგების ვალდებულება, როგორც შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი შედეგი. აღნიშნული, შესაძლებელია, დადგინდეს სასამართლო პრაქტიკის ან/და კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, 398-ე მუხლის ინტერპრეტაციის გზით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სსკ-ის 398-ე მუხლი უგულუბელყოფს სასამართლოს როლს, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგების პროცესში და ამით კიდევ უფრო არაეფექტურს ხდის მას. შესაბამისად, ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნითა და მოქმედების ეფექტურობისთვის, სასურველია, მუხლში აისახოს, წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, მოსამართლის მიერ ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობა. ასევე, სასურველია, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შეიცვალოს სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირება. კერძოდ სიტყვა - „აშკარა“ შეიცვალოს ისეთი ტერმინით, რომელიც ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების სიმძიმის განმსაზღვრელი იქნება, მაგალითად „ფუნდამენტური“ ან „უკიდურესი“. დამატებით, სასურველია სსკ-ის 398-ე მუხლს დაემატოს შეცვლილი გარემოებით გამოწვეული

შედეგის თავიდან აცილების ვალდებულება. ხსენებულის შედეგად, გათვალისწინებული და მეტად დაცული იქნება კრედიტორის ინტერესები, კერძოდ, მანამ სანამ მოვალეს წარმოეშობა ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება, კრედიტორი ვალდებული იქნება ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს დაბრკოლება ან/და მასთან დაკავშირებული შედეგი. სსკ-ის 398-ე მუხლში აღნიშნული ხარვეზების შესავსებად, სასურველია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდეს ზემოაღნიშნული ცვლილებები, რათა მან შეძლოს ვალდებულების შესრულების გართულების შედეგების ეფექტური მოწესრიგება.

ბიბლიოგრაფია

ქართული ენაზე:

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, მე-2 გამოცემა, 1999.

ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ნაწილი, გამომცემლობა: სამართალი, 2001.

ტურავა, მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ბონა კაუზა, 2010.

ჩიტაშვილი ნ., შესრულების გართულებისა და ფორს მაჟორის სამსართლებრივი წინაპირობები, რედ: ლ. ჭანტურია., ი. ბურდული., ბესარიონ ზოიძის 60 საიუბილარო კრებული., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.

ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა N2, 2011.

ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.

ო. მუტჰორსტი., დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით, ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) დაკვეთით, „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ პროგრამის ფარგლებში.

ძლიერიშვილი ზ., სახელმწიფო სამართლის ავტორთა კრებულში., რედ: გიორგი ჯუღელი., მერიდიანი., თბილისი, 2014.

ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001.

ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი., წიგნი მესამე., რედ: ჭანტურია/ ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურია., 2001.

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, .1997.

ინგლისურ ენაზე:

Atamer Y. M., in: Kröll Stefan/mistelis Loukas A./ Perales Viscasillas Maria Del Pilar (Eds.), Commentary on the UN Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), 2nd ed., 2018.

Berger, K. P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 36 issue 4, 2003.

Bonell M. J., The Unidroit Principles and Transnational Law, Unified Law Review., Vol. 5, 2000.

Bonell, M. J., The UNIDROIT principles of International Commercial Contracts and CISG- Alternatives or Complementary instruments? International Law Review of Wuhan University, 2009.

Brunner C., Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for non-performance in International Arbitration, Kluwer Law International B.V., 2008.

Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995.

Catherine K., Competing Approaches to Force Majeure and Hardship., Université Panthéon-Paris II, France., International Review of Law and Economics., 2005.

Chengwei L., Changed Contract Circumstances., 2nd edition: Case annotated update, 2005.

Chengwei L., EFFECTS OF AVOIDANCE: Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles and PECL and case law, Renmin University of China, 2nd edition: Case annotated update, 2005.

Chengwei, L., Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL., L. Sch. of Renmin University of China., ch. 19.3.1, 2003.

Ciongaru, E., Theory of Imprevisión, a Legal Mechanism for Restoring of the Contractual Justice. Procedia - Social and Behavioral Sciences, 2014.

De Silveira, A., Trade Sanctions and International Sales: An Inquiry into International Arbitration and Commercial Litigation, Kluwer Law International, 2014.

Dietrich M., Hardship and Force Majeure, Am. J. Comp. L. 1992.

DiMatteo. L. A., Excuse: Impossibility and Hardship in Larry A. DiMatteo / André Janssen / Ulrich Magnus / Reiner Schulze International Sales Law, Contract, Principles & Practice Nomos, C. H. Beck Verlag, Hart Publishing, 2016.

Dionysios Flambouras., Comparative Remarks on CISG Article 79 & PECL Articles 6:111, 8:108., 2002.

Dionysios P. F., The Doctrines of Impossibility of Performance and *clausula rebus sic stantibus* in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis., 13 Pace International Law Review, 2001.

Disa S., The Scope and Application of Good Faith in the Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2001.

Doudko, A. G., Hardship in Contract: The Approach of the UNIDROIT Principles and Legal Developments in Russia Uniform Law Review, Vol. 5, Issue 3, 2000.

Doudko, A. G., Hardship in Contract: The Approach of the UNIDROIT Principles and Legal Developments in Russia, Uniform Law Review, 2003.

Enderlein F., Maskow D., INTERNATIONAL SALES LAW United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods., Oceana Publications, 1992.

Essa A., Passing of Risk in International Contracts of Sale of Goods; A Comparative Study Between the United Nations Convention on Contracts for Sale of Goods 1980 and the English Sale of Goods Act, 1979.

Farnworth E.A., Farnsworth On Contracts, Aspen Publishers New York, 2004.

Ferrari F., Gillette C., P., Marco T., Steven D.W., The Inappropriate Use of the PICC to Interpret Hardship Claims under the CISG, IHR, Internationales Handelsrecht Vol. 17, 2017.

Ferrario, P., The Adaptation of Long-Term Gas Sale Agreements by Arbitrators, Kluwer Law International, 2017.

Flechtner. H., The Exemption Provisions of the Sales Convention, Including Comments on “Hardship” Doctrine and the 19 June 2009 Decision of the Belgian Cassation Court in Legal Studies Research Paper Series – University of Pittsburgh, 2011.

Florian M., Commentary on the manner in which Articles 7.3.5 and 7.3.6 of the UNIDROIT Principles compare with Articles 81 and 82 of the CISG, 2004.

Frederick R. F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance., Thelen Reid & Priest LLP., American Bar Association Section of International Law., Spring Meeting, 2006.

Girsberger D., Zapolskis P., Fundamental Alteration of the Contractual Equilibrium Under Hardship Exemption 19(1) Jurisprudence, 2012.

Gordley, J., Impossibility and Changed Unforeseen Circumstances, American Journal of Comparative Law, 2004.

Halson, R., Contract Law., Pearson, Harlow, 2013.

Honnold J., The Sales Convention: Background, Status, Application, 8 J.L. & Com., 1988.

Honnold J., Uniform Law for International Sales Under the 1980 United Nations Convention; 2d ed. Kluwer Law International, 1991.

Horn. N., Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and in International Law Adaptation and Renegotiation in International Trade and Finance., Kluwer Law International, 1985.

Houtte van, H., The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts and International Commercial Arbitration: Their Reciprocal Relevance. In: The UNIDROIT Principles for International Commercial Contracts: A New Lex Mercatoria? ICC Publication No. 490/1. Paris: International Chamber of Commerce, 1995.

ICC incoterm 2010, ICC rules for the use of domestic and international trade terms., ICC Publisher., 2011.

Jennifer M. B., Force majeure Clauses: Drafting Advice for the CISG Practitioner, 17 Journal of Law and Commerce, 1998.

Kofod R., Hardship in International Sales CISG and the UNIDROIT Principles, University of Copenhagen Faculty of Law, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2011.

Lake R.B./Nanda V.B./Draetta U., Breach and Adaptation of International Contracts, Butterworths Tolley, 1992.

Lando O., CISG and Its Followers: A Proposal to Adopt Some International Principles of Contract Law., 53 American Journal of Comparative Law, 2005.

Lando O., The CISG and the UNIDROIT Principles in a Global Commercial Code. In *Melanges offerts a Marcel Fontaine*, White Plains, NY: Longman. 2003.

Maskow, D., Hardship and Force Majeure, *American Journal of Comparative Law*, 1992.

Mckendrick E., Hardship, Articles 6.2.1.-6.2.3. In: *Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC)*. Vogenauer, S.; Kleinheisterkamp, J. (eds.). Oxford: Oxford University Press, 2009.

McKendrick. E., Comment to Performance: Arts 6.2.1 - 6.2.3 – Hardship, in *Commentary On The UNIDROIT Principles Of International Commercial Contracts*, 2009.

Melis W., Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practices of the ICC Court of Arbitration, 1 *J. Int'l Arb.*, 1984.

Miettinen J., Interpreting CISG Art. 79(1): Economic Impediment and the reasonability requirement Interpreting CISG, University of Lapland, 2015.

Pawel K., Soft Law in International Governance., *Adam Mickiewicz University Law Review*, 2017.

Perillo J. M., Calamari J. D., *Calamari and Perillo on Contracts*, Fifth Edition, Thomson West, 2003.

Perillo J. M., Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana*, 1998.

Prosper W., Toward Relative Normativity in International Law, *American Journal of International Law*. Vol. 77 n.7, 1983.

Puelinckx, A.H., Frustration, Hardship, Force Majeure, Imprévision, Wegfall der Geschäftsgrundlage, Unmöglichkeit, Changed Circumstances, 3 *J. Int'l Arb.* No. 2, 1986.

Ramberg, J., *ICC guide to incoterm 2010, Understanding and practical use*, ICC Publisher., 2011.

Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods*, Kluwer, 2000.

Roesler, H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, *European Review of Private Law*, 2007.

Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, European Review of Private Law, Vol. 15, No. 4, 2007.

Rossen, K., Law and Inflation. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1982.

Schlechtriem P., Schwenger I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd Edition., Oxford University Press, 2010.

Schlechtriem P., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 2nd. Edition, Clarendon Press, Oxford, 1998.

Schlechtriem, P. Commentary on Federal Supreme Court (Bundesgerichtshof), Civil Panel VII, Index No. VIII ZR 121/98, 1999.

Schlechtriem. P., Termination and Adjustment of Contracts, Under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, European Journal of Law REFORM, 1999.

Schmitthoff C.M., Schmitthoff's Export Trade 146 8 ed. 1986,

Schwenger I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, 39 Victoria U. Wellington L. Rev. 709, 2008-2009.

Schwenger., I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 4th ed., Oxford, 2016.

Sornarajah M., Supremacy of the Renegotiations Clause in International Contracts, 5 J Int'l Arb. 113, 1988.

Southerington T., Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private law publication series B:55, 2001.

Stone, R., The modern law of contract. Routledge, London and New York, 2013.

Strobach, H., Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts and Arbitration: The East-German Approach', J. Int'l. Arb., Kluwer Law International, Vol. 1, 1984.

Tadeusz G. W., A Framework for Understanding "Soft Law" McGill Law Journal Vol. 30, 1984.

Tallon D., in Bianca-Bonell: Commentary on the International Sales Law, Article 79. Giuffrè:Milan, Dott. A Giuffrè Editore, S.p.A., 1987.

Ugo Draetta, Force Majeure Clauses in International Trade Practice, 5 International Business Law Journal, 1996.

Van Houtte, H., Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda, in: Gaillard (ed.), Transnational Rules in International Commercial Arbitration, ICC Publ. Nr. 480, 4, 1993.

Walt. S. D., Sales Law: Domestic and International 2nd Edition Foundation Press, 2016.

Wolfgang P., Arbitration and Renegotiation of International Investment Agreements, Kluwer Law International, 1995.

Wouter D.H., in "Drafting Hardship Clauses in International Contracts": Structuring International Contracts, Dennis Campbell ed. 1996.

Zacaria, E. C., The Effects of Changed Circumstances in International Commercial Trade. International Trade & Business Law Review, 2005.

Zeller, B., The Unidroit Principles of Contract Law; Is There Room for Their Inclusion into Domestic Contracts?. Journal of Law and Commerce, 2008.

რუსულ ენაზე:

Петрищев В. С., Существенное Изменение Обстоятельств: Правоприменение Ст. 451 Гк РФ И Опыт Стран Общего И Континентального Права, Москва Государственный Университет Высшая Школа Экономики, 2007.

Суханов Е.А. Гражданское Право в 4-х томах том iii Обязательственное Право., Московский Государственный Университет Имени М.В. Ломоносова, 2005.

თურქულ ენაზე:

Ümmühan K., Sözleşmenin Uyarlanmasında Sonradan Değişen Şartlar Ve Öngörülemezlik İlkesi., Marmara Üniversitesi Hukuk Fakültesi Hukuk Araştırmaları Dergisi Vol. 22, Issue 3., 2016.

Topuz S., Denge Bozulması ve İfa Güçlüğü Durumlarında Sözleşmeye Müdahale, Yetkin Yayınları, Ankara, 2009.

ქართული სასამართლო პრაქტიკა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება, საქმეზე № ას-466-707-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-1475-1395-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე ას-7-6-2010.

უცხოური სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა:

American Arbitration Association 23 October 2007 (Macromex Srl. v. Globex International Inc.).

Davis Contractors Ltd v Fareham Urban District Council., United Kingdom House of Lords Decisions (1956).

France District Court Besançon (*Flippe Christian v. Douet Sport Collections*), 19 January (1998).

Germany Hamburg Arbitration proceeding (*Chinese goods case*) 21 March (1996).

Hungary 10 December 1996 Budapest Arbitration proceeding Vb 96074 (Caviar case).

ICC Case No. 7197 of 1992 (Failure to open letter of credit and penalty clause case).

ICC Award in Case No. 2508 (1976) reported in 104 Journal du Droit International, No. 4 (Octobre-Novembre-Décembre 1977).

ICC Case No.: 4972 1989 Jarvin/Derains/Arnaldez, eds., Collection of ICC Arbitral Awards (1994).

ICC Case No.: 5485 1987 Yearbook Commercial Arbitration XIV (1989).

ICC Case No.: 8873 July (1997).

Russia Arbitration proceeding 123/1992 17 October (1995).

Russia Arbitration proceeding 155/1994 (*Metallic sodium case*) 16 March (1995).

Russia Arbitration proceeding 155/1996, 22 January (1997).

Sapphire v. National Iranian Oil Company award, March 15, 1963 International Law Review (1967).

Scafom International BV v. Lorraine Tubes S.A.S; Hof van Cassatie, June 19, (2009).

Taylor v Caldwell., England and Wales High Court (Queen's Bench Division) Decisions (1863).

Transatlantic Financing Corporation v. United States of America., United States Court of Appeals District of Columbia Circuit Decision (1966).

United States 20 August 2008 Federal District Court [New York] (Hilaturas Miel, S.L. v. Republic of Iraq).

საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 6 მარტის 1876 წლის გადაწყვეტილება საქმეზე: *De Galliffet v. Commune de Pélissane*.

საფრანგეთის ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სახელწიფო საბჭოს გადაწყვეტილება: 1916 წლის მარტის საქმეზე „Compagnie Generale d’Eclairage de Bordeaux v. Ville de Bordeaux“.

Bulgaria Arbitration Case 56/1995 (*Coal case*), 24 April (1996).

ქართული საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

უცხოური საკანონმდებლო აქტები:

U.S United Commercial Code (UCC) - 2-615.

გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი - Bürgerliches Gesetzbuch (BGB).

საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსი - Code Civil Des Français.

რუსეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსი - Гражданский Кодекс Российской Федерации (ГК РФ).

უნიფიცირებული სამართლებრივი აქტები აქტები:

Draft Common Frame of Reference (DCFR).

UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2003).

United Nations Convention On Contracts For The International Sale Of Goods (1980).

Principles of European Contract Law (PECL).